

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა “განათლების მეცნიერებები”

**ნინო იორამაშვილი**

სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან  
ინტეგრირებულად სწავლების (CLIL) პრაქტიკის  
კვლევა(ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ჩახუნაშვილი,  
თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,  
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკის კვლევას. გლობალიზაცია და სოციალურ ეკონომიკური ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე თუ ვინ რომელ ენას სწავლობს განვითარების ეტაპების შესაბამისად და ენობრივი პოლიტიკის პერსპექტივებიდან გამომდინარე ხელს უწყობს ენების შერჩევას და მათი შესწავლის მიმართ განსხვავებულ მიდგომას, რომელიც ხშირად ესადაგება საგნობრივი შინაარსების სწავლის მეთოდოლოგიების ადაპტაციას და აფართოებს ენობრივ კომპეტენციას კონკრეტული საგნების შინაარსებზე დაყრდნობით. ჩვენს ქართულ რეალობაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ინგლისური ენა ისწავლება უცხო ენად (EFL), პარალელურად არსებობს ისეთი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ინგლისური ენისა და საგნის შინაარსის ინტეგრირებულად სწავლებას. ყოველივეს გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხის კვლევა მეტად საჭირო და აქტუალურია.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომის უპირატესობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ საქართველოში სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების (CLIL) კუთხით კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს **სიახლეს**.

კვლევის მიზანია საქართველოში სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკის კვლევა საშუალო კლასის საფეხურზე. დასახული მიზნის მისაღწევად გამოვყავით შემდეგი **ამოცანები**:

- ❖ მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- ❖ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ❖ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ❖ თვისებრივი კვლევის ჩატარება;
- ❖ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანს სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლება წარმოადგენს.

კვლევის **ობიექტია:** სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

რაც შეეხება კვლევის **მეთოდს**, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა, ხოლო კვლევის **ინსტრუმენტად** სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული (Google Doc) კითხვარი.

**სამიზნე ჯგუფი:** რესპოდენტები მიზნობრივად შევარჩიეთ, კონკრეტულად: ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო კლასის საფეხურის 5 მასწავლებელი ფოკუს ჯგუფისთვის და ამავე სკოლის საშუალო საფეხურის 14 მასწავლებელი ინტერნეტ გამოკითხვისთვის.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ძირითადი შედეგები. განვრცობილი და დაზუსტებულია პასუხები ნაშრომის ძირითად საკვლევ თემაზე და ბოლოს შემუშავებულია რეკომენდაციები.

**Nino Ioramashvili**

**The study of the practice of teaching disciplines with English language integrated learning on the example of the Georgian-American School Progress.**

## **Annotation**

The master's work refers to research the study of the practice of teaching disciplines with English language integrated learning on the example of the Georgian-American School Progress. Globalization and socio-economic factors impact on the learning of the languages according to its development and due to the perspectives of the language policy it promotes a different approach of language selection and its study. This often befits the adaptation of the methodology of the subject content and extends the linguistic competence based on the contents of the specific subjects. There are educational institutions in our society, where the English language is learned as a foreign language (EFL), in parallel with that, there are private institutions, where the content and English language integrated learning is implemented (CLIL). In conclusion, taking into consideration all of these factors investigating this subject is necessary and actual.

In connection with the studies and scientific literature no one has studied before this kind of research in Georgia.

Therefore, this research conducted on the above topic is novelty.

The goal of the Master's thesis is to research the study of the practice of teaching disciplines with English language integrated learning. To accomplish this goal, we have set the following tasks:

- ❖ Table research: existing studies;
- ❖ Determination of the research methodology;
- ❖ Development of the research tool;

- ❖ Conducting qualitative research;
- ❖ Development of conclusions and recommendations.

The subject of the research is to study the practice of teaching disciplines with English language integrated learning and the object is the process of practical realization of teaching disciplines with English language integrated learning.

In the Master's thesis we have used the qualitative research method, namely the analysis of the documentation (Table reserch), focus group and internet questionnaire. The respodents were selected purposefully, there were targeted 5 teachers of Georgian-American School Progress for focus group and 14 teachers of the same school for internet questionnaire.

The results of this study are detailed in the present work.

# სარჩევი

შესავალი .....	7
ტერმინთა განმარტება .....	10
თავი I. CLIL(content and language integrated learning)-ის განსაზღვრებისთვის .....	12
1.1. CLIL-ის მთავარი პრინციპი .....	13
1.2. ენის სწავლება საგნობრივ შინაარსზე დაფუძნებით .....	15
1.3. საგნობრივი შინაარსის სწავლების ხელშეწყობა .....	16
ენის გაკვეთილებზე .....	16
1.4. CLIL როგორც ბილინგვური განათლების ნაწილი .....	19
თავი II. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) სასაფუძვლედ მახასიათებლები .....	21
2.2. სააზროვნო კურიკულუმი CLIL-ში .....	24
თავი III. CLIL- ის ისტორიული პრაქტიკის მიმოხილვა (კანადისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე) .....	27
3.1 კანადაში განხორციელებული იმერსიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა .....	27
3.2. აკადემიური მიღწევები .....	27
3.3. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კვლევების პოზიტიურ ან ნეგატიურ შედეგებს .....	31
თავი IV. კურიკულუმი CLIL-ში .....	37
4.1. კურიკულუმის მოდელი საშუალო განათლების დონისთვის .....	38
თავი V. მასშტაბი .....	40
5.1. ინტენსიური სწავლება შუალედური ენით .....	40
5.2. ნაწილობრივ სწავლება შუალედურ ენაზე .....	41
თავი VI. პედაგოგთა თანამშრომლობა CLIL-ის სწავლების პროცესში .....	42
6.1. LOCIT: გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკა (პროფესიული განვითარებისთვის) (Lesson observation and critical incident technique) .....	44
კვლევითი ნაწილი .....	47
დასკვნები .....	85
რეკომენდაციები .....	89
გამოყენებული ლიტერატურა .....	91
დანართი 1	
დანართი 2	

## შესავალი

სასკოლო მრავალეროვანი განათლება ნებისმიერი ბავშვის მომზადების ელემენტია მრავალკულტურულ საზოგადოებაში. მრავალენოვან განათლებას მონოლინგვურთან განასხვავებს ის რომ სწავლების ენა მხოლოდ საშუალებას არ წარმოადგენს, არამედ მიზანსაც, სადაც ორმაგი მიზნის მისაღწევად საჭიროა მუდმივი ბალანსირება საგნობრივ შინაარსზე ფოკუსირებულ გაკვეთილსა და სპეციფიკური ენობრივი მიმართულების გაკვეთილს შორის. საკმაოდ მიღებული მეთოდია ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დასავლეთის წამყვან ქვეყნებში, რომლებიც აფართოებს ენობრივ კომპეტენციას კონკრეტული საგნების შინაარსებზე დაყრდნობით, რაც სცდილდება ენის სწავლების ტრადიციულ გაკვეთილებს(ნ.ქემოკლიძე; მ.ინასარიძე; ნ.შარაშენიძე; კ.გაბუნია; 2010)

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 100 (სწავლების მეთოდები), ითვალისწინებს ორენოვანი სწავლების დაგეგმვას სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც გულისხმობს ქართულ ენასთან მიმართებით ორენოვანი სასწავლო პროცესის განხორციელებას (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2014). წარმოდგენილ ნაშრომში კი, ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს ინგლისური ენა.

საჭიროა განვასხვავოთ ის პროგრამები, რომლებიც შექმნილია ეთნიკური უმცირესობებისათვის, რათა სახელმწიფო ენას დაეუფლონ და მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და უცხო ენოვანი პროგრამები, კერძოდ ინგლისურენოვანი, რომლებიც ხელს უწყობენ ინგლისურ ენასთან ერთად საგნების შინაარსის ათვისებას.(ნ.ქემოკლიძე; მ.ინასარიძე; ნ.შარაშენიძე; კ.გაბუნია; 2010)

განათლების ყველა საუკეთესო პრაქტიკის გამოკვლევით, რომლებიც აწმყოს მოთხოვნეს აკმაყოფილებს, შეიძლება ავხსნათ ინტეგრირებული სწავლების მიმართ დიდი მოთხოვნა. გლობალიზაცია და სოციალურ ეკონომიკური ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე თუ ვინ რომელ ენას სწავლობს და რა გზით. ენის მამოძრავებელი ძალა

განსხვავებულია სხვა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ მათ ერთი საერთო მიზანი აქვთ, რომ მცირე დროში საუკეთესო შედეგს მიაღწიონ. ეს კი ხშირად ესადაგება ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ადაპტაციას, რომელიც იწვევს საჭიროებას ზოგადი დონის ასამაღლებლად. ქვეყნების შეფასების გლობალური მეთოდების შემოღების შემდეგ, როგორცაა „ეკონომიკური თანამშრომლობა და განვითარება“(OECD) და „მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა“(PISA) წარმოქმნა საჭიროება კოგნიტური პროცესების განვითარებაზე თუ როგორ მიმდინარეობს წარმატებული სწავლის პროცესი, რომელიც ასევე ესადაგება ენისა და საგნის შინაარსის ინტეგრირებულ სწავლებას(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც ინგლისური ენა ისწავლება უცხო ენად (EFL), პარალელურად არსებობს ისეთი კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ინგლისური ენისა და საგნის შინაარსის ინტეგრირებულად სწავლებას. ყოველივეს გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხის კვლევა მეტად საჭირო და აქტუალურია.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომის უპირატესობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ საქართველოში სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების(CLIL) კუთხით კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს **სიახლეს**.

კვლევის მიზანია საქართველოში სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკის კვლევა საშუალო კლასის საფეხურზე. დასახული მიზნის მისაღწევად გამოვყავით შემდეგი **ამოცანები**:

- ❖ მეორადი ინფორმაციის მოძიება დადამუშავება;
- ❖ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ❖ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ❖ თვისებრივი კვლევის ჩატარება;
- ❖ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.



ნაშრომის კვლევის საგანს სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლება წარმოადგენს.

კვლევის **ობიექტია:** სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

რაც შეეხება კვლევის **მეთოდს**, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა, ხოლო კვლევის **ინსტრუმენტად** სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებული (Google Doc) კითხვარი.

**სამიზნე ჯგუფი:** რესპოდენტები მიზნობრივად შევარჩიეთ, კონკრეტულად: ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო კლასის საფეხურის 5 მასწავლებელი ფოკუს ჯგუფისთვის და ამავე სკოლის საშუალო საფეხურის 14 მასწავლებელი ინტერნეტ გამოკითხვისთვის.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ძირითადი შედეგები. განვრცობილი და დაზუსტებულია პასუხები ნაშრომის ძირითად საკვლევ თემაზე და ბოლოს შემუშავებულია რეკომენდაციები.

## ტერმინთა განმარტება

**ადრეული სრული იმერსია-** ამ განათლების მოდელის პროგრამის მიხედვით პირველი ორი წლის განმავლობაში საგნები ისწავლება მეორე ენაზე.

**ბილინგვური განათლება-** ორენოვანი განათლება, რომლის მიზანიც არის ორი ან მეტი ენის გამოყენებას სასწავლო პროცესში. ბილინგვუალიზმის მიზანია ორმაგი წიგნიერება და კულტურული მრავალფეროვნება.

**გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკა; LOCIT (Lesson observation and critical incident technique),-** მასწავლებლების მიერ საკუთარი საკუთარი პრაქტიკის თეორიების შექმნა და გაზიარება.

**გვიანი იმერსია-** აღნიშნული მოდელის გათვალისწინებით საგნები ისწავლება მეორე ენაზე გვიანი საწყისი პუნქტიდან, მაგალითად 11 წლიდან.

**ენისადა საგნის ინტეგრირებული სწავლება(CLIL) -** ორმაგი აქცენტის მქონე სგანმანათლებლო მიდგომა, სადაც შემსწავლელის არა მშობლიური ენა გამოიყენება ენისა და საგნობრივი შინაარსის ასათვისებლად.

**იმერსია-ტერმინი იმერსია** რამოდენიმე განსხვავებულ პროგრამას მოიცავს. იმერსიის შემთხვევაში სკოლაში ერთი და იმავე ლინგვისტური და კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებისათვის სწავლების ენა წარმოადგენს მეორე ენას, რომელთანაც შეხება მანამდე არ ჰქონიათ.

**კონსტრუქტივიზმი-** საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე, სადაც მოსწავლე არის სწავლის/შემეცნების აქტიური მონაწილე. შემსწავლელი თავად აშენებს საკუთარ ცოდნას წინა გამოცდილების საფუძველზე.

**მგზ-მიახლოებითი განვითარების ზონა(Zone of proximal development)-** ვიგოცკის მიერ შემოღებული ცნება 1978წელს, აღწერს სწავლის პროცესს, რომელიც სისტემატიურად

შეიცავს გამოწვევებს, რომლებსაც ყოველი ინდივიდუალური შემსწავლელი სძლევს, თუკი მათ გააჩნიათ სათანადო მხარდაჭერა.

**ნაწილობრივი იმერსია-** მხოლოდ საგნების განსაზღვრული ნაწილი ისწავლება მეორე ენაზე.

**სკაფოლდინგი-**გულისხმობს მოსწავლის მიერ ცოდნის აგებას მასწავლებლის დახმარებით, რითიც მას შესაძლებლობა ეძლევა შეასრულოს დავალებები მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში.

**ტრანსენობრიობა/ენის კოდური გაადართვა(Code switching)-**შემსწავლელის პირველი და მეორე ენების მონაცვლეობა სწავლა-სწავლების პროცესში, რომელიც კლასში აყალიბებს ბილინგვურობის დინამიკურ ფორმას.

**ხარაჩოს პრინციპი-**განათლებაში გამოიყენება უკვე არსებული ცოდნის წვდომისთვის, მის გასაუმჯობესებლად და ახალი მასალის დასამატებლად. განათლებაში ხარაჩოს პრინციპი წარმოადგენს დროებით დამხმარე საშუალებას, რომლის გამოყენებასაც სწავლობენ შემსწავლელები სწავლის შედეგების მისაღწევად.

**შუალედური ენა-**ენა, რომელზეც მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი, შემსწავლელთათვის ხშირად უცხოა, ეს შეიძლება იყოს მეორე ენა ან საზოგადოების ენის რაიმე ფორმა.

## თავი I. CLIL(content and language integrated learning)-ის განსაზღვრებისთვის

CLIL (Content and language integrated learning)- ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება, ორმაგი აქცენტის მქონე საგანმანათლებლო მიდგომაა, სადაც დამატებითი, არა მშობლიური ენა გამოიყენება როგორც საგნის შესასწავლად ასევე ენის განსავითარებლად. ტერმინი საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება პირველად 1994 წელს(მარში, მალჯერსი და ჰარტიალა,2001) შეიქმნა კარგი პრაქტიკის აღსაწერად და იგი გამოიყენებოდა ისეთი ტიპის სკოლებში, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი დამატებით ენაზე მიმდინარეობდა.სასწავლო პროცესში აქცენტი არ კეთდება მხოლოდ ენის ან საგნის შინაარსის შესწავლაზე არამედ ამ ორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული საგანმანათლებლო მიდგომა იზიარებს მრავალი საგანმანათლებლო პრაქტიკის ელემენტებს, როგორცაა იმერსიის მეთოდი და ბილინგვური განათლება, რომლებიც კონკრეტული ქვეყნების კონტექსტში (კანადა, ავსტრია, გერმანია)გამოიყენება. ინგლისურის, როგორც დამატებითი ენის შესწავლა შეიძლება იზიარებდეს CLIL-ის პრაქტიკებს, მაგრამ მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებებიც არსებობს. საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება მიმდინარეობს შინაარსის სწავლებით და ამით ის იძლევა დამატებითი ენის შესწავლის განვითარების შესაძლებლობას, რომელიც სრულიად განსხვავდება ენის აქამდე არსებული სწავლების მეთოდებისაგან.

CLIL პრაქტიკის ადაპტაცია განსხვავებული კონტექსტებისთვისაა შესაძლებელი, ამისათვის კი საჭიროა მისი თეორიული საფუძვლების მყარად ასახვა პრაქტიკაში, რათა იყოს გამართლებული. ტერმინი ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება აერთიანებს განსხვავებულ სიტუაციებში გამოყენებულ საუკეთესო პრაქტიკებს.მისი წარმატებული გამოცდილებაც იქმნება იმით რომ იგი შემსწავლელებს სთავაზობს ჰოლისტიკურ(ენა, შინაარსი, კოგნიცია) საგანმანათლებლო პრაქტიკებს( გრადოლი,2006).CLIL-ის სწავლების

გაზიარება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სკოლებისათვის, რომელთა საგანმანათლებლო წარმატებაც გამოიხატება ენისა და საგნობრივი შინაარსის შედეგების რეალიზებით.

### 1.1. CLIL-ის მთავარი პრინციპი

თავდაპირველად უნდა ვახსენოთ CLIL-ის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემსწავლელის არა მშობლიური ენის გამოყენებას სასწავლო პროცესში, როგორც ენა მედიუმისა, რომლის საშუალებითაც გაიცემა მითითებები და ისწავლება დისციპლინები. შესასწავლი დისციპლინები შესაძლებელია იყოს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ასევე პროფესიული დონის საგნებიც, როგორცაა: მათემატიკა, მეცნიერება, გეოგრაფია, ისტორია, კომპიუტერული მეცნიერებები, ბიზნესი და ა.შ. CLIL მიდგომა გარკვეულწილად მოითხოვს საგნის მასწავლებლისგან რომ მათ ენაც ასწავლონ. საგნის მასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს ენის იმ ნაწილების შესწავლას, რომელიც მოსწავლისთვის სუსტ მხარეს წარმოადგენს და რისი არ ცოდნაც ხელს უშლის საგნის შინაარსის დაუფლებაში. რაც შეეხება ენის მასწავლებლებს ისინი ცდილობენ საგნის მასწავლებლების ხელშეწყობას გარდა სტანდარტული კურიკულუმის სწავლებისა. ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ენის იმ ნაწილების შესწავლაში რომელიც მათთვის პრობლემურია, იმ მიზნით რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვა საგნებში შინაარსის ცოდნის გამტკიცება. აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ CLIL არის როგორც ენის ასევე საგნის სწავლების მეთოდი, რომლის მთავარი არსიც ამ ორის ინტეგრაციაში მდგომარეობს:

- ენის სწავლება მიმდინარეობს საგნობრივ გაკვეთილებზე, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გადაფუთვას ისე რომ ხელი შეუწყოს გაგებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს გრაფიკებით, დიაგრამებით, ნახატებით, პრაქტიკული ექსპერიმენტებით, ტერმინოლოგიისა და საკვანძო კონცეპტების მონახაზების გაკეთებით. ეს ყოველივე წარმოადგენს CLIL-ის მახასიათებლებს.

- საგნობრივი შინაარსის ათვისება ხდება ენის შესწავლის კლასებში. ენის მასწავლებლებელი თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან და ამით ის აერთიანებს იმ ტერმინოლოგიას და ლექსიკურ მარაგს საგნებიდან, რომელიც საჭიროა კლასში შესასწავლად. შესაბამისად, მოსწავლეები ეუფლებიან იმ ენობრივ ტერმინოლოგიებს, რომლებიც მათ სჭირდებათ შინაარსის გასაგებად.

შეიძლება ითქვას რომ ეს მოსწავლისთვის ენის შესწავლის მოტივაციას წარმოადგენს, როდესაც მას აქვს სურვილი საგნობრივი შინაარსის გაგებისა და გამოყენების. ენის გაკვეთილებზე, შემსწავლელი ენას იყენებენ სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად და ახალი შინაარსის შესასწავლად. ინტეგრირებულ კონტექსტში ენის გაკვეთილებზე საგნობრივი შინაარსების შერწყმა აუმჯობესებს ენის შესწავლას. CLIL-ში საგნობრივ მიზნებს ხელს უწყობს ენობრივი მიზნები (პ.მეკისტო; დ.მარში; მ.ფრიგოლსი; 2008).

გარდა იმისა რომ ინტეგრირებული სწავლება ორიენტირებულია ენისა და საგნის ერთობლივ შერწყმულ სწავლებაზე, ასევე მნიშვნელოვანია სწავლის უნარები, რომლის შემუშავებაც ხელს უწყობს საგნობრივი შინაარსისა და ენის სასწავლო მიზნების სრულყოფას. მათი მიზანია:

- შესაბამისი აკადემიური მოსწრება იმ საგნებში რომლებიც CLIL-ის ენაზე ისწავლება;
- შესაბამისი ფუნქციონალური გაწაფულობა ენის ოთხივე კომპონენტში: მოსმენა, ლაპარაკი, წერა და კითხვა;
- კოგნიტური და სოციალურ უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც საჭიროა მუდმივად მზარდ და განვითარებულ მსოფლიოში.

CLIL-ის მეთოდი შემსწავლელს აძლევს იმ საჭირო უნარებს, რომლებიც შემდეგ დაეხმარებათ, CLIL-ის ენაზე სწავლის გაგრძელებაში ან მუშაობაში (დ.კოილი, 2007).

## 1.2. ენის სწავლება საგნობრივ შინაარსზე დაფუძნებით

სასწავლო პროცესის ერთ ერთ მნიშვნელოვანი ამოცანაა საგნის შინაარსისა და ენის ათვისება, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა კოლაბორაციას. აქ ვგულისხმობთ ინგლისური ენის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებსა და სხვა სასწავლო საგნების მასწავლებელთა აქტიურ კავშირსა და თანამშრომლობას. ხშირად ისმევა პრობლემა რომ მოსწავლეები სასწავლო საგნის შინაარს ვერ ითვისებენ რათა მათი მეორე ენის დონე საკმაოდ დაბალია. ასევე საგნის პედაგოგები შიშობენ, რომ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ენობრივი კომპეტენციის ამადლებისთვის გარკვეული დროის დათმობა დააზარალებს ეროვნულ სასწავლო გეგმას საგნებში რომლის დაფარვაც სავალდებულოა (იევინა,2009).

ენისა და საგნის შინაარსის ინტეგრირებული სწავლება გულისხმობს ენის იმ კომპონენტების ჩართვას საგნობრივ გაკვეთილებში, რამაც უნდა გამოიწვიოს ენა მედიუმისა და საგნობრივი გაკვეთილის შინაარსის ათვისება. საგნობრივ გაკვეთილებზე მასწავლებელი მოსწავლეს სასწავლო მასალას მისი შემეცნების დონის შესაბამისად აწვდის და მოსწავლის ენის ცოდნის შესაბამისად გეგმავს და ირჩევს აქტივობებს. ამგვარად, ენა ხდება მასალის ათვისების საშუალება და არა სწავლების საგანი.

საგნობრივ გაკვეთილებზე ენის შესწავლისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის თუ რა ენობრივი ცოდნა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს საგნობრივი შინაარსის დასაუფლებლად. უნდა განვსხვავოთ შინაარსთან შეთავსებადი ენა, რომელიც მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც შემსწავლელები ცდილობენ საკუთარი აზრი გამოთქვან თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სწორედ შინაარსთან შეთავსებადი ენა ხდება მოსწავლის ინტერესის საგანი, რაც ასრულებს საყრდენ ფუნქციას და საფუძველს უქმნის შინაარსისთვის აუცილებელი ენის ათვისებას. უფრო რომ დავკონკრეტდეთ თუ რა იგულისხმება საგნობრივი შინაარსისთვის აუცილებელ ენაში დავეყრდნობით კლაუდის, გენესის და ჰამაიანის განმარტებებს რომ საგნობრივი შინაარსისთვის აუცილებელი ენა მოიცავს ტექნიკურ ლექსიკას, სპეციალურ გამონათქვამებს, სიტყათა პოლისემიურ

მნიშვნელობებს, სინტაქსურ მახასიათებლებს და ენის ფუნქციები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის რომ მოსწავლე დაეუფლოს კონცეფციებს, დასვას კითხვები და კომუნიკაცია დაამყაროს (კლაუდი,2000).

მოგეხსენებათ, რომ ენის სწავლა მხოლოდ ერთი კომპონენტით არ არის შესაძლებელი, იმისათვის რომ გამყარდეს ახალი ენა და ჩვენს შემთხვევაში CLIL-ის ენა, საჭიროა მისი საუბარში გამოყენება, სანამ შესწავლის ობიექტი არ გახდება. CLIL მიდგომა როგორც უკვე აღვნიშნეთ მრავალფეროვანია და იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ჯგუფურ მუშაობას და ხელს უწყობს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარებას. რაც ერთობლივად გულისხმობს საგნობრივი შინაარსის სწავლას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს საგნობრივი შინაარსის შესახებ დისკუსიებისათვის. ეს შესაძლებლობები კი ხელს უწყობს ენის შესწავლას.

### **1.3. საგნობრივი შინაარსის სწავლების ხელშეწყობა ენის გაკვეთილებზე**

როგორც უკვე ვახსენეთ საგნის მასწავლებლები აუცილებლად თანამშრომლობენ ენის მასწავლებლებთან. CLIL -ით განხორციელებულ პროგრამებში ენა სწრაფად ვითარდება. ფაქტიურად მასწავლებლები მოსწავლეებს ენის დაუფლების დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობენ. შესაბამისი კვლევების შედეგებითაც დასტურდება რომ CLIL მოსწავლეები უფრო კარგად და სწრაფად ეუფლებიან ენას ვიდრე ისინი ვინც მას როგორც უბრალოდ უცხო ენას ისე სწავლობენ.

ენის მასწავლებელი მუშაობის პროცესში იყენებს ენის სახელმძღვანელოს, როგორც მიმართების ინსტრუმენტს და სისტემატიურად მუშაობს იმ შინაარსობრივი გაკვეთილის მასალასთან ერთდ რომელსაც ხშირად საგნის მასწავლებელი აწვდის ენის სწავლებისას. მასალას სჭირდება ისეთი „გადაფუთვა“ რომ აქცენტი გაკეთდეს, რომელიმე გრამატიკულ დროზე, ან სინტაქსზე, კურიკულუმის შესაბამისად(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).



ენისა და საგნობრივი შინაარსის მასალის ათვისების პროცესის ინტეგრირება შესაძლებელია ენის გაკვეთილებზე სხვა სასწავლო საგნის მასალაზე დაყრდნობით შედგენისას, სხვა საგნის გაკვეთილების ორგანიზებისა მეორე ენის გაკვეთილების შესაბამისი მასალის გამოყენებით. საგნის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეს მისი შემეცნების დონის შესაბამისად აწვდის სასწავლო მასალას, ხოლო აქტივობებს ირჩევს მოსწავლის ენის ცოდნის შესაბამისად. ენის გაკვეთილებზე მასწავლებელი უზრუნველყოფს ენის სწავლების ინტეგრირებას სხვა საგნის მასალასთან და როგორც უკვე ვახსენეთ ენა წარმოადგენს მასალის ათვისების საშუალებას და არა საგანს.

CLIL-ის გარემოში აუცილებელია მოსწავლის პროგრესი როგორც ენის ისე საგნის შინაარსის დაუფლებაში. ენის გამოყენება სასწავლად, ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც ენის გამოყენების სწავლა. ბევრ CLIL შემსწავლელელებში გხვდება განსხვავება მათი ლინგვისტური და ენობრივი კომპეტენციების დონეებს შორის, რაც უმეტესად დამახასიათებელია მიგრანტ ბავშვებში და ინგლისურის როგორც დამატებითი ენის შემსწავლელელებისათვის. ბევრ CLIL შემსწავლელეთა კოგნიტური განვითარების დონე წინ უსწრებს მათი შუალედურ ენის განვითარების დონეს. ეს ჰიპოთეზა უფრო კომპლექსური ხდება მაშინ, როდესაც დავაკვირდებით თუ როგორ უკავშირდება ენის გამოყენება კოგნიტურ დამუშავებას რაც ამ შემთხვევაში ჩვენი შესწავლის საგანს სცილდება. ფრეირეს მიხედვით „არ არსებობს კომუნიკაცია დიალოგის გარეშე და კომუნიკაციის გარეშე ვერ იარსებებს ჭეშმარიტი განათლება“ [ფრეირე, 1972:81]. ეს გულისხმობს საკლასო კომუნიკაციას, რაც გამოიხატება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ჩართულობაში. უფრო მიზანშეწონილად ითვლება მასწავლებლის „დიალოგური სწავლების“ ფორმები (უელსი, 1999), რაც მასწავლებელს ნასწავლის გადმოცემისკენ მოუწოდებს. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტის გაკეთება ხარისხიან დისკურსიაზე ხელს უწყობს ჩართულობას საგაკვეთილო პროცესებში. ეს ყველაფერი რომ CLIL-ის კლასში გადავიტანოთ გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ CLIL ენით ჩაერთონ დისკუსიებში თანატოლებთან და მასწავლებლებთან. მასწავლებლებისათვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოსწავლემ შეძლოს ინტერაქცია შუალედური

ენის გამოყენებით ისეთ კონტექსტში, სადაც მას ევალუა შინაარსთან დაკავშირებული ენის გამოყენება. მაგალითად შემსწავლელს სჭირდება CLIL-ის ენაზე წარსული დროის გამოყენება, რაიმე ექსპერიმენტის თუ მოვლენის აღსაწერად, და საჭირო გრამატიკული დრო ჯერ ან არ გაუვლია გრამატიკის გაკვეთილზე. ამ შემთხვევაში CLIL-ის გაკვეთილმა უნდა მისცეს საშუალება რომ შესაბამის კონტექსტში წარსული დრო სწორად გამოიყენოს. ენა, რომელიც საჭიროა კონკრეტული CLIL გარემოსათვის ყოველთვის არ მიყვება იმავე გრამატიკულ პროგრესიას, რომელსაც ცალკეული ენის სასწავლო გარემოში ვხვდებით.

სნოუს, მეტის და გენესის მიხედვით(1989) თუკი შესაძლებელი იქნება საგნობრივი შინაარსისთვის სავალდებულო ენის(აუცილებელი შინაარსის სწავლისათვის) და შინაარსთან შეთავსებადი ენის(რომელიც მხარს უჭერს გაკვეთილის შინაარს და კურიკულუმის ლიგვისტურ კულტურულ მიზნებს) იდენტიფიცირება, ამით მასწავლებლები შეძლებენ ენისა და საგნის შინაარსის მიზნების დანაწევრებას. ამისათვის მასწავლებლებმა ცხადად უნდა ჩამოაყალიბონ საგნობრივი და ენობრივი მიზნების ურთიერთკავშირი. სწორედ ამ კავშირების მატარებელია ენის ტრიპტიქი(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010). ენის ტრიპტიქი ეხმარება მოსწავლეს ენის გამოყენებაში შუალედური ენის სამი ერთმანეთთან დაკავშირებული პერსპექტივებიდან:

**სწავლის ენა-** გულისხმობს საგანის შინაარსთან ან CLIL-ის თემასთან დაკავშირებულ საბაზისო უნარებისა და კონცეფციების გასაგებად საჭირო ენას.

**ენა სწავლისთვის** - აქ ძირითადად მოაზრება ის ენა, რომელიც საჭიროა მეორე ან უცხო ენის გარემოში გამოსაყენებლად. მოსწავლეებს სჭირდებათ სტრატეგიები რომლებიც მათ დაეხმარებათ რომ უცხო ენა ეფექტურად გამოიყენონ.

**ენა სწავლით-** გულისხმობს მიდგომას რომ აზრიანად და ეფექტურად სწავლა შეუძლებელია ენისა და აზროვნების გარეშე. CLIL-ით განხორციელებული გაკვეთილები მოითხოვს დიალოგურ აქტივობებსა და ჩართულობას რაც განხვავდება ტრადიციული ენის შემსწავლელი გაკვეთილებისაგან. უფრო პრაქტიკულად ეს ტერმინი გულისხმობს იმ გრამატიკული კატეგორიების შერჩევას რომელიც საჭიროა კონკრეტული CLIL-ის თემის

შინაარსისათვის. ამის წინასწარ განსაზღვრა ყოველთვის არ არის შესაძლებელი და მასწავლებლებს ხშირად უხდებათ ლინგვისტური პრობლემების ადგილზევე გადაჭრა(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

#### 1.4. CLIL როგორც ბილინგვური განათლების ნაწილი

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც ბილინგვური განათლების ნაწილი, რაც თავისთავად გულისხმობს ორი ან მეტი ენის გამოყენებას სასწავლო პროცესში. მსგავსი სკოლების მიზანია ორმაგი წიგნიერება და კულტურული მრავალფეროვნება(მეხია, 2002).ეს ძირითადად გავრცელებულია ისეთ საზოგადოებებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია მრავალენობრიობა. უმრავლესობის ენებზე ბილინგვური განათლების მაგალითები გვხვდება აზიის ქვეყნებში,სადაც სწავლების ენად გამოიყენება არაბულ-ინგლისური, ბაჰასამალაური-ინგლისური, იაპონურ-ინგლისური და ჩინურ-ინგლისური. აფრიკასა და ინდოეთშიც ვხვდებით მსგავსი ტიპის სკოლებს,სადაც სწავლების ენად ერთდროულად გამოიყენება რეგიონალური და საერთაშორისო ენები. აზიური ქვეყნების მაგალითებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ მეორე ენის შემოტანას საფუძვლად უდევს საერთაშორისო გავლენა და ეს ენა უმეტეს შემთხვევაში არის ინგლისური.

ბრუნეიში სადაც ფუნქციონირებს ორენოვანი სკოლები, სწავლების ენა არის ბაჰასამალაური და ინგლისური (ჯონსი და მისი კოლეგები, 1993, 1997; ბერდსმო, 1999). ნიგერიაში კი ბილინგვურ განათლებას ვხვდებით საშუალო სკოლის საფეხურებზე,სადაც ინგლისურთან ერთად სწავლება მიმდინარეობს ასევე ნიგერიაში არსებული ერობნული ენით. (აფოლაინი,1995)

სინგაპურში ინგლისურთან ერთად სწავლების ენად ფუნქციონირებს ოთხი სახელმძიფო ენიდან ერთ-ერთი(პაკირი,1994). გერმანიაში გერმანულ ენასთან ერთად სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ, ფრანგულ ან ჰოლანდიურ ენებზე(მეში,1994).

ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში სასწავლო საგნების მეორე ენაზე სწავლების პროცესი ცნობილია როგორც შინაარსისა და ენის ინტეგრირებულის სწავლება.<sup>1</sup>

დავისონისა და უილიამსის მიხედვით(2001) რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს მეორე ენაზე საგნების სწავლების პროცესს, რაც შეიძლება რომ ასე ჩამოვყალიბოთ:

- საგნისა და შინაარსის ინტეგრირებული სწავლებით ენის დაუფლება ხდება უფრო სწრაფად.
- CLIL-ის მეთოდით შემსწავლელი ეუფლება აკადემიურ და არა საკომუნიკაციო ენას.
- ინტეგრირებული სწავლება ეფექტურია, რადგანაც ისწავლება ენაც და საგანიც ერთდროულად.
- CLIL-ით სწავლებისას კომუნიკაცია ბუნებრივადაა გააზრებული, შესაბამისად ენა გამოიყენება როგორც საგნის ასათვისებლად ასევე აკადემიური მიღწევებისათვის.

ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას ეხმიანება და ამყარებს კონსტრუქტივიზმის თეორიაც, რომლის მიხედვითაც სწავლა არ მდგომარეობს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მხოლოდ ცოდნის გადაცემაში.ამ თეორიის შესაბამისად(კონსტრუქტივიზმი) ენის გრამატიკა და ლექსიკა არ ისწავლება ერთმანეთისაგან გამოცალკევებით, შესაბამისად შინაარსისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ხელს უწყობს ენის ათვისებას ბუნებრივ გარემოში( კოლინ ბეიკერი,2006).

---

<sup>1</sup> [http:// www.clilcompendium.com](http://www.clilcompendium.com)

## თავი II. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL)

### სასაფუძვლე მახასიათებლები

*“მოსწავლეები ვერ შეიმუშავენ აკადემიურ ცოდნასა და უნარებს იმ ენაზე წვდომის გარეშე, რომელზეც ეს ცოდნაა გადმოცემული, განხილული, აგებული ან შეფასებული. ასევე, ვერ შეძლებენ ისინი აკადემიური ენობრივი უნარების შექმნას კონტექსტში, რომელსაც არ ექნება (აკადემიური) შინაარსი”[კრანდალი,1994:256].*

CLIL-ი როგორც „ქოლგა ტერმინი“ (პეტერ მეჰისტო, მარში, ფრიგოლსი; 2008) მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო მიდგომებს (იმერსია, ბილინგვური განათლება), რომელთა სინთეზიც მას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომებიდან მიღებული ცოდნა.

#### 2.1. 4-სი კონცეპტუალური ჩარჩო.

CLIL მეთოდოლოგიის განხილვა და მისით სწავლება შეუძლებელია 4-სი კონცეპტუალური ჩარჩოს გარეშე (დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010), რომლებიც ხელს უწყობენ ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრაციას:

შინაარსი (Content)- სწავლა სწავლებისას მნიშვნელოვანია შინაარსის წვდომა და მასთან დაკავშირებული ახალი ცოდნის შექმნა. შინაარსი არის საგანი ან CLIL-ის თემა. არ არის სავალდებულო რომ სასწავლო შინაარსი იყოს რომელიმე დისციპლინა, არამედ ის შეიძლება იყოს სხვა ალტერნატიული წყაროებიდან აღებული თემა, რომელიც კურიკულუმის მიღმა მოიცავს სხვადასხვა ინტეგრირებულ სფეროებს. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ შინაარსზე ვიფიქროთ, როგორც უნარებსა და ცოდნაზე, რომელიც გვინდა რომ მოსწავლემ შეიძინოს.

კომუნიკაცია (Communication)- გულისხმობს ენის სათანადო გამოყენებას, რომლის აღწერაც შეიძლება როგორც ენის გამოყენების სწავლა და ენის გამოყენება სასწავლო კომუნიკაციის მნიშვნელობით ენა სცდება გრამატიკულ სისწორეს, მაგრამ ეს არ

უგულებელყოფს გრამატიკისა და ლექსიკის სწავლას. კომუნიკაციის ენა შემსწავლელისაგან მოითხოვს ისეთი ენის გამოყენებას, რომელიც განსხვავდება ენის ტრადიციული გაკვეთილებისაგან. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება მოიცავს ენის სწავლებას, მაგრამ განსხვავებული გზით. საჭიროება იქმნება, რომ განვასხვავოთ ენის სწავლა და ენის გამოყენება. პირველში აქცენტი კეთდება გრამატიკულ წინსვლაზე, ხოლო მეორეში ყურადღება გამახვილებულია კომუნიკაციასა და მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში მოთხოვნილ საჭიროებებზე.

კოგნიცია(Cognition)-CLIL მეთოდოლოგია გამოწვევებს უქმნის შემსწავლელებს, რათა შეიძინონ ახალი ცოდნა და შეძლონ ახალი უნარების გამომუშავება ბლუმის ტაქსონომიის როგორც ზედა ისე ქვედა დონის აზროვნებაში. მთავარი არსი არსი არის ის, რომ მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ შექმნან საკუთარი გაგება და გამოწვევები. დო კოილი, ფილიგ ვუდი და დევიდ მარში რეკომენდაციას უწევენ ანდერსონისა და კრათვოლის(ანდერსონი და კრათვოლი, 2001) ტაქსონომიის გამოყენებას კოგნიტური დაგეგმვის სახელმძღვანელოდ, რაც სწორედ CLIL კონტექსტისთვისაა შესაბამისი, რადგანაც ის იკვლევს ურთიერთობას კოგნიტურ დამუშავებასა და ცოდნის შექმნას შორის.

კულტურა(Culture)-CLIL-ის სასწავლო შინაარსებს(თემებს) სასწავლო ღირებულებებს მატებს. იგი ეხმარება მოსწაღეს საკუთარი თავის სხვისი გაცნობიერების, იდენტობის, მოქალაქეობისა და მრავალკულტურულობის გაგებაში. თუკი მოსწავლეები გაიგებენ „სხვის“ კონცეფციას, მათ საკუთარი თავის უფრო ღრმად გაგება გაუადვილებათ(ბირამი, 2008). ენისა და საგნის ინტეგრირებულ კლასებში შესაბამისი ტექსტების შეტანა ხელს უწყობს კულტურათშორის კავშირებს. მოსწაღეები მიიჩნევენ, რომ შემსწავლელის საზოგადოების წევრობა გამამდიდრებელია და მათ აქვთ თვითრწმენა და უნარები, რათა შეძლონ ჯგუფის შიგნით მუშაობა და ასევე ადგილობრივ საზოგადოებაში დაიცვან ბალანსი საკუთარ და სხვის ინტერესებს შორის(დ. კოილი; ფ. ვუდი; დ. მარში; 2010).

CLIL მეთოდოლოგიის სასაფუძველე მახასიათებლებს წარმოადგენს შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- მრავალმხრივი ფოკუსირება და აქცენტი, რომელიც გულისხმობს საგნის გაკვეთილებზე ენის შესწავლის მხარდაჭერას და პირიქით, ასევე რამოდენიმე საგნის ინტეგრაციასაც.
- უსაფრთხო და გამამდიდრებელი სასწავლო პროცესი, რომელიც გულისხმობს მოწსავლეებისათვის ენობრივი აღქმის გაზრდას და თავდაჯერებულობის შექმნას საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლებით.
- შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთათვის საჭირო ენობრივი დახმარების გაწევას და მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი მასალების მიწოდება მედიიდან და სხვადასხვა წყაროებიდან, რაც გულისხმობს თანამედროვე მასალის გამოყენებას სასწავლო პროცესში.
- აქტიური სწავლა თავის მხრივ მოითხოვს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში მასწავლებლებთან შედარებით, სადაც მოსწავლეები აქტიურად აფასებენ საგნების, ენისა და უნარების შედეგებს. უპირატესობა ენიჭება თანატოლების ერთობლივ მუშაობას, სადაც მასწავლებელი წარმოადგენს ხელშემწყობ ფაქტორს.
- ხარაჩოს პრინციპი, რომლის მთავარი არსიც გამოიხატება უკვე არსებული ცოდნის წვდომაში, ანალიზში, ახალი ინფორმაციის დამუშავებაში და გაგების გაუმჯობესებაში, ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას.
- კოოპერაცია/თანამშრომლობა მოიცავს საგნისა და ენის მასწავლებლების თანამუშაობას გაკვეთილების დაგეგმარების პროცესში. ასევე მშობლების და ადგილობრივი საზოგადოებების ჩართვას მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობადმიზნები(პ.მეჰისტო; დ.მარში; მ.ფრიგოლსი; 2008).

## 2.2. სააზროვნო კურიკულუმი CLIL-ში

ბლუმის ტაქსონომიაზე დაფუძნებული სწავლება CLIL გაკვეთილებისთვის სააზროვნო კურიკულუმს წარმოადგენს. კოგნიტური აზროვნება მნიშვნელოვანია ინტეგრირებულ კლასებში, შესაბამისად შინაარის სწავლა აზროვნებისა და პრობლემების გადჭრის გარეშე შეუძლებელია. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების- კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების სწავლაზე. ესგ-ს მიხედვით ძირითადი აქცენტი მიმართულია სააზროვნო, კომუნიკაციური, სოციალური და თვითმართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე<sup>2</sup>. ბლუმის სააზროვნო უნარების განვითარების ტაქსონომია შეიქმნა სპეციალურად განათლების მიზმებისთვის. ზოგადად, ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრონციპების ნაკრები. ბლუმის მიხედვით (Bloom, et al, 1956), აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ იყოფა. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო და უფრო რთულდება წინასთან შედარებით და ასევე მოიცავს რამდენიმე დონეს ერთად. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი ზედა დონეებში.

ასევე, CLIL პრაქტიკისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ მატრიცა, კუმინსის მიერ ადაპტირებული 1984 წელს (კუმინსი, 1984), რომელიც ლინგვისტური და კოგნიტური მოთხოვნების ბალანსისთვისაა საჭირო. იმ შემთხვევის გათვალისწინებით რომ CLIL კლასებში ენის დონე იგივე არ იქნება რაც აზროვნებისა, ამან შეიძლება გამოიწვიოს დისბალანსი. თუკი ენის დონე ძალიან ბევრს მოითხოვს მაშინ ეფექტურად სწავლა იქნება შეუძლებელი და თუკი აზროვნების დონე დაბალია ენობრივ დონესთან შედარებით, მაშინ სწავლების დონე შეზღუდულია. ეფექტური სწავლა ინდივიდებისაგან მოითხოვს

<sup>2</sup> <http://www.bu.org.ge/x343?lang=geo>



სათანადოდ ჩართულობას მათი შესაძლებლობის დონეების გათვალისწინებით. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ კოგნიტური გამოწვევები და ამასთანავე ენობრივი მხარდაჭერა, ეს ყველაფერი მოითხოვს სტრატეგიულ და პრინციპულ დაგეგმარებას.



1

CLIL-ის ენაზე მუშაობა მოითხოვს მასწავლებლების მიერ შუალედური ენის გაგებასა და თანამშრომლობას საგნისა და ენის მასწავლებლებს შორის, რათა არ შეფერხდეს სწავლის პროცესი ენის გამო. პირველი კვადრანტი ხელს უწყობს მოსწავლეებს საწყისი თავდაჯერებულობის განვითარებას, რომელიც ნიადაგს ამზადებს მეორე კვადრანტისკენ გადასვლისთვის, სადაც უკვე საჭირო ხდება ენაში მიზანმიმართული პროგრესი და ამასთანავე კოგნიტური დონის შენარჩუნებაც, რაც გამოიწვევს შემდგომში მოსწავლის ავტომატურად გადაყვანას მესამე კვადრანტამდე. მაღალი ლინგვისტური მოთხოვნები რომლებიც მეოთხე კვადრანტს ახასიათებს ეს CLIL-ის ისეთი ელემენტებისთვისა შესაფერისი, სადაც ლინგვისტურ პრაქტიკასთან ერთად აუცილებელია ფორმაზე ფოკუსირებაც, რათა მოხდეს სწავლის პროგრესის ხელშეწყობა. (კუმინსი, 2005)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი კვადრანტი არის გარდამავალი ეტაპი მეორე კვადრანტისაკენ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის თავდაჯერებულობისა და შემართების

განვითარებაში. შემდგომ კვადრატებზე გადასვლა კი მიანიშნებს ინდივიდუალური შემსწავლელების პროგრესიაზე და დროთა განმავლობაში მათი პოტენციალის გამომჟღავნებაზე.

მატრიცა ერთგვარი საშუალებაა მასწავლებლებისათვის რათა მათ გაუდვილდეთ და თვალი ადევნონ მოსწავლეებს სწავლების პროცესში, ასევე დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები რაც ხელს შეუწყობს შემსწავლელთა პროგრესსა და წინსვლას.

## თავი III. CLIL- ის ისტორიული პრაქტიკის მიმოხილვა (კანადისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე)

### 3.1 კანადაში განხორციელებული იმერსიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა

ფრანგული იმერსიის პროგრამას ვხდებით კანადაში, რომელიც 1965 წელს განხორციელდა ანგლოფონური მოსწავლეებისათვის, რათა შეესწავლათ ფრანგული ენა. თავდაპირველად უცნობი იყო შეძლებდნენ თუ არა მოსწავლეები მეორე ენის ათვისებას, იმ შემთხვევაში თუ კი სწავლების ენად ფრანგულს გამოიყენებდნენ, ასევე გაურკვეველი იყო ისიც თუ რამდენად შეძლებდნენ შემსწავლელები საგნების შინაარსის ათვისებას და ამავდროულად მშობლიური ენის შენარჩუნებას. ეს ის საკითხები იყო რომლებიც მუდმივად აწუხებდათ მშობლებს ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას და ასევე უნდა აღინიშნოს ისიც რომ იმერსიის პროგრამამ საფუძველი დაუდო არა ერთ კვლევას კანადის მასშტაბით.

### 3.2. აკადემიური მიღწევები

როგორც უკვე აღვნიშნეთ კანადაში ჩატარებული იმერსიის პროგრამა მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე, რაც ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით გულისხმობს საგნების ისეთნაირ სწავლებას რომლებიც პირველ ენაზე ხორციელდებოდა. პროგრამის ფარგლებში მუდმივად არსებობდა შიში შეძლებდნენ თუა რა მოსწავლეები საგნების შინაარსის სწავლებას ფრანგულ ენაზე როდესაც მათი მშობლიური ენა ინგლისური იყო ან ხომ არ იწვევდა შემსწავლელების აკადემიურ ჩამორჩენას ენა მედიუმის

შეზღუდული ცოდნის გამო. ყველა ეს ვნებათაღელვა გააბათილა იმ კვლევების პოზიტიურმა შედეგებმა რომლებიც ამ მიმართულებით ჩატარდა.

იმერსიის პროგრამაში მონაწილე ყველა მოსწავლეს ჩაუტარდა ტესტირება, რომელიც ამოწმებდა სტანდარტული მათემატიკისა და უნარების ცოდნას და ასევე ისინი შემოწმებულები იყვნენ მეხუთე კლასის მეცნიერების სტანდარტული ტესტით. იმერსიის პროგრამაში მონაწილე ბავშვების შედეგები შეადარეს იმ მოსწავლეების შედეგებს რომელთან მშობლიური ენაც იყო ინგლისური. მიუხედავად იმისა რომ იმერსიის პროგრამა ხორცილედებოდა ფრანგულად, ტესტები ჩატარებულ იქნა ინგლისურ ენაზე რაც აიხსნება იმით რომ ის მშობლები რომლებიც მათ შვილებს იმერსიის პროგრამით ასწავლიან სურთ რომ მათი შვილები სრულყოფილად ეუფლებოდნენ ინგლისურ ენასთან დაკავირებულ ტერმინოლოგიას, რადგან ინგლისური ენა დომინანტი ენაა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ საზოგადოებაში. მართალია რომ ინგლისურ ენაზე ჩატარებული ტესტირება ხელს უწყობს საგნებთან დაკავირებულ ტერმინოლოგიას მშობლიურ ენაზე მაგრამ ამავდროულად ჩნდება ეჭვი და საფრთხე იმისა რომ ინგლისურ ენაზე ჩატარებული ტესტირება რომელიც არ არის მოსწავლეთა სწავლების ენა შეილება რომ გავლენა მოეხდინა ტესტირებების შედეგებზე(ჯიმ კუმინსი; მერილ სვეინი; 1986)

1982 წლის ანგარიშში სვეინსა და ლეპკინს შედარებული აქვთ ადრეული იმერსიის პროგრამის 1-6 კლასის მოსწავლეთა შედეგები მათემატიკაში, რომლებიც ტარდებოდა 9 წლის განმავლობაში. საბოლოო ჯამში ტესტირება ჩატარდა 38 ჯერ და აქედან მხოლოდ სამ შემთხვევაში დაფიქსირდა ინგლისურენოვანი პროგრამის მოსწავლეების უპირატესობა, ესეც ტესტის გარკვეულ ნაწილში და არა მთლიანად ტესტში. დანარჩენი 35 შემთხვევა ადასტურებს რომ იმერსიის პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების შედეგები თანაბარი ან უკეთესია ინგლისურენოვანი (მშობლიური) პროგრამის შედეგებთან შედარებით. მსგავსი სტატისტიკური შედეგი შეიმჩნევა მეცნიერების ტესტებში რომლებიც ჩაუტარდათ 5-8 კლასელებს. ჩატარებული 14 ტესტირების შედეგი შედარდა ერთენოვანი მოსწავლეების

შედეგებს იგივე საგანში. სვეინისა და ლეპკინის ანგარიში ცხადყოფს რომ ამ ორი განსხვავებული პროგრამის მოსწავლეთა შედეგები თანაბარია(ბერიკი და სვეინი,1978)

ასევე ყურადსაღებია გვიანი და ადრეული ნაწილობრივი იმერსიის პროგრამების მოსწავლეთა შედეგების შედარება ერთ ენოვანი პროგრამების ტესტირების შედეგებთან. ბერიკის და სვეინის კვლევის შედეგების მიხედვით დასტურდება, რომ ნაწილობრივი იმერსიის პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უფიქსირდებათ შედარებით დაბალი შედეგები ერთენოვანი პროგრამის მოსწავლეებთან შედარებით,რომელთაც მესამე კლასში ჩაუტარდათ ტესტირება.(ბერიკი და სვეინი 1977ა; ბერიკი, სვეინი და ნვანუნობი 1977; ედმონტონის საჯარო სკოლა 1980ბ), ასევე ბერიკისა და სვეინის მიერ 1978 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მეცნიერებების ტესტებში შედარებით დაბალი შედეგები აჩვენეს ადრეული ნაწილობრივი იმერსიის პროგრამის მოსწავლეებმა, ვიდრე ინგლისურენოვანმა მოსწავლეებმა. ტესტები მეცნიერებებში ტარდებოდა მე-5 კლასის ზევით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გვიანი იმერსიის პროგრამის მოსწავლეების შედეგების შედარება ინგლისურენოვანი პროგრამის მოსწავლეებთან. პირველ რიგში, გვიანი იმერსიის პროგრამა გულისხმობს ფრანგულის, როგორც მეორე ენაზე სწავლებას შეზღუდული ერთი ან ორი წლით ადრე სრული იმერსიის პროგრამაზე შესვლამდე. აქაც 1976 წელს, ბერიკი, სვეინისა და გაუდინოს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით მათემატიკასა და მეცნიერებებში იშვიათ შემთხვევებში ფიქსირდება გვიანი იმერსიის პროგრამის მოსწავლეთა შედეგების დაბალი მაჩვენებელი. თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც ფრანგული ენის სწავლება ხდება ყოველწლიურად იმერსიის პროგრამაზე, ასეთ შემთხვევებში ინგლისურენოვანის პროგრამის მოსწავლეებისა და იმერსიის პროგრამის მოსწავლეთა შედეგები თითქმის თანაბარია მათემატიკასა და მეცნიერებებში ჩატარებული ტესტების კვლევების შედეგად. (ჯენესი, პოლიჩი და სტენლი 1977).

ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე გაანალიზებით შესაძლოა დავასკვნათ, რომ დაფიქსირებული დაბალი შედეგები იმერსიის პროგრამის მოსწავლეების

მხრიდან უკავშირდება მათ დაბალ კომპეტენციას ფრანგულ ენაში, რაც მოსწავლეებს არ აძლევთ საშუალებას რომ ფრანგულ ენაზე დაძლიონ ის რთული და კომპლექსური საკითხები რაც დამახასიათებელია მათემატიკისა და მეცნიერებების სწავლებისას.

განხორციელებული კვლევა ცალსახად ადასტურებს რომ იმერსიის პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების შედეგები არც თუ ისე დაბალია ინგლისურენოვანი პროგრამის მოსწავლეების შედეგებთან შედარებით და რომ მათ თანაბარი აკადემიური მიღწევები უფიქსირდებათ. (ტაკერი, 1975)

რაც შეეხება ტესტირების ენას, ტესტები აღნიშნულ საგნებში ტარდებოდა მშობლიურ, ინგლისურ ენაზე, თუმცა იმერსიის პროგრამა ხორციელდებოდა ფრანგულად. როგორც აღმოჩნდა ეს არ ყოფილა ხელის შემშლელი ფაქტორი იმერსიის პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა კუმინსის „ურთიერთ დამოკიდებულების ჰიპოთეზა“, რომლის თანახმადაც ადამიანში დაგროვილი კოგნიტურ-აკადემიური ცოდნის გამოყენება შესაძლებელია ორივე ენაზე თუ კი ამ ენებში შესაბამის ენობრივ კომპეტენციას მივაღწევთ. მოცემულ შემთხვევაში კი მოსწავლეებმა აკადემიური ცოდნა მიიღეს ფრანგულ ენაზე, ხოლო მისი გამოყენება შეძლეს მშობლიურ ენაზე, რაც დამოკიდებული იყო ენობრივი კომპეტენციის ზღვრულ დონეზე, და რაც მათსაშუალებას მისცემდათ რომ აკადემიური ცოდნა ორივე ენაზე გამოეყენებინათ (კუმინსი, 1981ბ).

ჩნდება კითხვა იგივე შედეგები გვექნებოდა თუ არა იმ შემთხვევაშიც თუკი ტესტირება ფრანგულ ენაზე ჩატარდებოდა. კვლევის მიხედვით, ადრეული ნაწილობრივი იმერსიისა (ბერიკი და სვეინი, 1975) და გვიანი იმერსიის პროგრამის მონაწილეების შედეგები არ იყო მკვეთრად განსხვავებული (ჯენესი, 1976ა) ამის მიუხედავად ტესტირების ენა მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტესტირების შედეგებზე რაც უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. ამ მხრივ საინტერესოა მეოთხე კლასელთა ტესტირების შედეგები სოციალურ მეცნიერებებში. კვლევაში მონაწილეობას იღებდა ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი სწავლობდა ყველა საგანს ფრანგულ ენაზე (ფრანგულენოვანი იმერსიის პროგრამა) და მეორე ჯგუფი მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებს სწავლობდა

ფრანგულად. ორივე ჯგუფის მოსწალებს ჩაუტარდათ ზუსტად ერთი და იგივე ტესტის ორი ვერსია, რომელთაგანაც ერთი იყო ინგლისურენოვანი ხოლო მეორე ფრანგულენოვანი. ინგლისურენოვან ტესტში ამ ორი ჯგუფის მოსწავლეთა შედეგებში არანაირი განსხვავება არ ფისქირდება, ხოლო ფრანგულენოვანი ტესტის შედეგების ცხადყოფს, რომ ფრანგულენოვანი იმერსიის პროგრამის მოსწავლეებს გაცილებით უკეთესი შედეგები უფიქსირდებათ იმ მოსწავლეებთან შედარებით რომლებიც მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებს სწავლობდნენ ფრანგულ ენაზე.

კვლევამ აჩვენა რომ, მოსწავლის ტესტირება იმ ენაზე რომელშიც იგი შესაძლებელია რომ არ ფლობდეს სრულად ენობრივ კომპეტენციებს, შესაძლებელია არ ასახავდეს მათ ზუსტ კომპეტენციებს იმ საგნებში რომელში ტარდება ტესტირება, ანუ მეორე ენაზე ტესტირება შესაძლოა სარისკო აღმოჩნდეს მკვლევარისათვის თუ კი მას სურს საგნობრივი კომპეტენციის გაზომვა(კუმინსი, 1981ბ).

### **3.3. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კვლევების პოზიტიურ ან ნეგატიურ შედეგებს**

სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებენ კვლევების პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებს და განსხვავებებს ამ შედეგებს შორის. პირველ რიგში კვლევის პოზიტიური შედეგები დაკავშირებულია დომინანტი ჯგუფების წარმომადგენელ ბავშვებთან, რომლებიც მეორე ენაზე სწავლობენ, ხოლო ნეგატიური შედეგები უკავშირდება უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია პირველი ან მეორე ენის სტატუსი, კვლევის შედეგი დადებითია თუ ორივე ენა ღირებული და მნიშვნელოვანია და მჭიდრო კავშირი აქვს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ასევე მნიშვნელოვანია სკოლის პროგრამაც, კვლევის პოზიტიური

შედეგები ძირითადად დაკავშირებულია იმერსიის პროგრამებთან ხოლო ნეგატიური-სუბმერსიის პროგრამებთან.

არსებული კვლევების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ რომ საგნების მეორე ენაზე სწავლებისასაუცილებელია კონტექსტი. თუ ენის სწავლება ხორციელდება შემმატებელ კონტექსტში მაშინ კვლევები ადასტურებენ მის დადებით შედეგებს, ხოლო თუ პროგრამა ხორციელდება შემამცირებელ კონტექსტში მაშინ მივიღებთ სწავლების ნეგატიურ შედეგებს (ლამბერტი, 1977).

ლამბერტი კვლევებში მიუთითებს რომ კვლევის პოზიტიური შედეგები განპირობებული იყო იმით რომ მას მონაწილეებად შერჩეული ჰყავდა ის ბავშვები რომლებიც დომინანტ ჯგუფს წამოადგენდნ და რომელთა მშობლიური ენაც პრესტიჟის მატარებელია, შესაბამისად მეორე ენის სწავლება საფრთხეს არ უქმნის მათ მშობლიურ ენას. ამგვარად ამ კონტექსტს ლამბერტი შემმატებელ კონტექსტს უწოდებს, რაც გამოიხატება იმაში რომ მოსწავლეები მეორე ენის შესწავლით იძენენ დამატებით ენას, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მათი სოციალური მდგომარეობისათვის და ამავე დროს საფრთხე არ ექმნება მშობლიურ ენას, რადგან მისი ცოდნაც ასევე მნიშვნელოვანია შემდგომი წინსივლისა და განვითარებისათვის. შედეგად მოსწავლეები ეუფლებიან ორივე ენას და აქვთ უპირატესობები კოგნიტური განვითარების თვალსაზრისითაც.

ამის საწინააღმდეგოდ, იმ კვლევების მონაწილეები, რომლებმაც აჩვენა ნეგატიური შედეგები, მიეკუთვნებიან უმცირესობების წარმომადგენელთა მოსწავლეებს, რომელთა მშობლიური ენის ეტაპობრივი ჩანაცვლება ხდებოდა უფრო პრესტიჟული მეორე ენით. ამ პროცესს ლამბერტი უწოდებს „შემამცირებელ“ კონტექსტს, რადგან მშობლიური ენის ჩანაცვლება ხდება მეორე ენით და მეორე ენის კომპეტენციის განვითარება ხდება პირველი ენის ხარჯზე. შესაბამისად, ასეთ კონტექსტში მოსწავლეებს მოეპოვებათ ორივე ენაში ენის ფლობის შედარებით დაბალი კომპეტენცია(ჯიმ კუმინსი; მერილ სვეინი; 1986).



### 3.4. ევროპაში ჩატარებული კვლევები CLIL-ის მიმართულებით.

გასაკვირი არ უნდა იყოს თუ კი ვიტყვით რომ ევროკავშირი ხასიათდება ენის მრავალფეროვნებით. ამიტომაც სურვილი იმისა მოქალაქეებმა საკუთარი ენის გარდა სხვა დამატებით ენებზეც იურთიერთონ ძალიან დიდია. ამიტომაც ისინი მრავალენობრიობისკენ მიისწრაფვიან. არ უნდა დაგვავიწყდეს სკოლები და პედაგოგები, რადგან პირველ რიგში მათ უნდა ჰქონდეთ გათვითცნობიერებული მრავალენობრიობისა და ბილინგუალიზმის მნიშვნელობა. ამ მხრივ ევროპაში მრავალი სხვადასხვა კვლევაა ჩატარებული რომელიც იკვლევს საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების კავშირებს სხვადასხვა ასპექტში.

2009 წელს იტალიაში კითხვარისა და სატელეფონო ზარების მეშვეობით გამოიკითხეს 11 მასწავლებელი რომელიც ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების შესაბამისი მეთოდით ასწავლიდნენ რათა შეეფასებინათ მიდგომა საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე. შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი ამ მიდგომას დადებითად აფასებდნენ თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე და, რომ მათ საშუალება მიეცათ გაეუმჯობესებინათ თავიანთი სწავლების მეთოდები და ესწავლებინათ საგნები სხვა პერსპექტივებიდან. რესპოდენტების აზრით, მათი გამოცდილება საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო. მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, გაწაფულობასა და კომუნიკაციას უფრო მეტი ყურადღება მიექცა ვიდრე სიზუსტეს. პერეზ კანადოს მიხედვით (პერეზ კანადო, 2012), პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის აქტოვობები რომლებიც განავითარებენ აზროვნების უნარებს, ასევე კოოპერატიული სწავლება ძალზედ მნიშვნელოვანია, სადაც ხელშეწყობილია აქტიურ სწავლებაში თანამონაწილეობა. გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ მასალების ნაკლებობა და დატვირთვა ამ მიდგომის ორი ძირითადი ნაკლოვანებაა. თუმცა, ზოგადი მიმოხილვა დადებითი აღმოჩნდა.

2007 წელს ავსტრიაში, ჰათნერმა და რიედერ ბუნემანმა (ჰათნერი და რ.ბუნემანი, 2007) მე-7 კლასის მოსწავლეებთან ჩატარეს CLIL-ის კვლევა სურათით მოთხრობილი ამბის გამოყენებით. შედეგებმა აჩვენა რომ მოსწავლეებს უფრო განვითარებული ჰქონდათ

ამბის აღწერის ლინგვისტური უნარი ვიდრე თემატურად აღქმის უნარი. ასევე 2010 წელს ჯექსენ ფლიკერისა და დალტონ დაფერის მიერ ავსტრიაში ჩატარდა კიდევ ერთი კვლევა(ჯექსენ ფლიკერი, 2010). კვლევის მიზანი იყო შეესწავლათ ინგლისური ენის უნარები CLIL- ის საშუალო კლასის საფეხურზე საინჟინრო სკოლის მიმართულებით. კვლევის შედეგებმა ცხადყო რომ მოსწავლეებმა რომლებიც CLIL- ის კლასში სწავლობდნენ გადააჭარბეს იმ მოსწავლეთა წერის და ზოგადად ზოგადი ენის უნარებით, რომლებიც ინგლისურს როგორც უცხო ენას ისე სწავლობდნენ. CLIL-ის ეფექტი ძირითადად მოიცავდა დადებით შედეგს ლექსიკის, გამოთქმის და დავალებების ზუსტად შესრულების თვალსაზრისით, ხოლო მათი დაბალი შედეგი აჩვენებს ორგანიზებულობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით.

დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, რამდენადაც მისი მშობლიური ენა მთელი დანარჩენი ევროპის მასშტაბით საკომუნიკაციო ენად გამოიყენება. ვიესემმა 2009 წელს ჩაატარა კვლევა რომელიც დადებითი შედეგებით განხორციელდა. (Wiesemes, 2009). კვლევის შედეგად შეფასებული იქნა ენისა და საგნის ინტეგრირებული პროექტი CLIP (Content and Language Integration Project), სადაც 8 წარმატებული საშუალო საფეხურის სკოლა იღებდა მონაწილეობას და ასწავლიდნენ საგნებს ფრანგულ, გერმანულ ან ესპანური ენებზე.(Pérez Cañado, ) აღნიშნული ენები წარმოადგენდა CLIL-ის ენას. სტუდენტები და მასწავლებლები გამოკითხულნი იქნენ ინტერვიუებისა და დაკვირვების საშუალებით. კვლევების შედეგებმა აჩვენეს რომ CLIL-ი ზრდის მოტივაციას და ამსხვრევს აქამდე არსებულ ტრადიციულ ბარიერებს და ანვითარებს ახალ საკლასო პედაგოგიკას. მკვლევარი ასევე ადასტურებს რომ CLIL-ი ზრდის შემსწავლელების მიღწევებს იმ ბავშვებშიც კი რომლებიც შედარებით ნაკლები უნარებითა და შესაძლებლობებით ხასიათდებოდნენ. ასევე ინტეგრირებულ სწავლებას არანაერი ნეგატიური შედეგი არ გააჩნია საგნის სწავლებაზე, ის განავითარებს აზროვნებას და სახავს უკეთეს სტრატეგიებს აზროვნებისა და საუბრის უნარების თვალსაზრისით. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ მისი ეს განცხადებები არ იყო დადასტურებული კვლევის მეთოდოლოგიით.

საინტერესოა დალტონ პუფერის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევა(დალტონ პუფერი,2009), რომელიც შეეხება პროფესიული განათლების CLIL-ის ყოფილ მოსწავლეებს. 17-19 წლის ასაკის კურს დამთავრებულები გამოიკითხნენ კითხვარებისა და ინტერვიუს საშუალებით. შედეგად იკვეთება შერეული პასუხები, CLIL-ის ძლიერი, მაგრამ არა უდავო მხარდაჭერით, განსაკუთრებით იმ საკითხთან დაკავშირებით, იკარგება თუ არა საგნობრივი შინაარსის სიღრმე უცხო ენაზე მუშაობისას. CLIL-ის ყოფილი მოსწავლეები თავიანთ კომპეტენციას უცხო ენაში უფრო დადებითად აფასებდნენ,ვიდრე ისინი ვინც არ გაჰყვნენ CLIL-ის გზას. ინტერვიუებით დადგინდა შემდეგი საინტერესო დებულება: თუკი საგნობრივი შინაარსის მასწავლებლის მიერ CLIL-ის ენის ფლობა არც თუ ისე ახლოს იყო იდეალურთან, მაშინ შემსწავლელებს უფრო მეტი დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება უწევდათ, რაც მათ უფრო დავდაჯერებულებს ხდიდა.

თავად მასწავლებლების შეხედულებები, შემსწავლელების პარალელურად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა. CLIL-ის კურსები, ახლებიც და განვითარების პროცესში მყოფებიც, საკმაოდ ბევრს მოითხოვს მასწავლებლებისაგან, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ენობრივი ან შინაარსობრივი უნარები, მაგრამ როგორც წესი არ აქვთ ორივე ერთად. კამპომ და სხვ.(2007) გამოიძიეს თუ რამდენად სჯეროდათ პედაგოგებს თავიანთი მეთოდებისა და უნარების ესწავლებინათ CLIL-ის პროგრამა(კამპო, გრისალენა და ალონსო,2007). შედეგად მათ წარმოაჩინეს თავდაჯერებულობის მაღალი დონე თუმცა ეს მოხსენებების მცირე ნაწილს იკავებს და არ არის გამოკვლევული დეტალურად. მოატის სამაგისტრო ნაშრომში (2008) უფრო საფუძვლიანადაა გამოკვლევული ფინელი CLIL-ის მასწავლებლების შეხედულება იმის თაობაზე გაუმჯობესდა თუ არა მათი პრაქტიკა CLIL-ის პროგრამებში მონაწილეობის მიღებისას. აქ წარმოიშვა განსხვავებული შეხედულებები. მართალია ისინი ხედავდნენ სარგებელს CLIL-ის შემსწავლელთათვის, მაგრამ ეს ხდებოდა მათი, როგორც მასწავლებლების კომფორტის ხარჯზე. მათ უნდა დაესვათ რთული შეკითხვები რადგანაც პედაგოგები გადამწყვეტ როლს თამაშობენ პროცესში. მათი ერთგულება პროგრამის მიმართ შესაძლოა იყოს მეტი ან ნაკლები, იმის მიხედვით, აქვთ

თუ არა მასწავლებლებს მენეჯმენტის და პრობლემის გამოთქმის საშუალება. ასე რომ ყველა შეფასება უნდა მოიცავდეს მასწავლებელს.

ლასაგაბასტერმა და სიერამ (2009) წელს ჩაატარეს კვლევა უფრო მცირე ასაკის (ვიდრე დალტონ პუფერმა 17-19 წელი) საშუალო სკოლის CLIL-ის მოსწავლეებთან. მათი კვლევის მიზანი იყო შემსწავლელთა დამოკიდებულების გამოკვლევა ინგლისური ენისა და საგანმანათლებლო სივრცეში შესული კიდევ ორი ენის - ესპანურისა და ბასკურის მიმართ ფართომასშტაბიანი კითხვარების საშუალებით. მათ ასევე გამოიკვლიეს აქვს თუ არა სქესს მნიშვნელობა ამ დამოკიდებულებებში. მათ მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, CLIL-ი აუმჯობესებს დამოკიდებულებას სხვა ენების შესწავლის მიმართ და ეს უფრო მდებდრობითი სქესის შემსწავლელებისთვისაა დამახასიათებელი.

## თავი IV. კურიკულუმი CLIL-ში

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს CLIL-ის კონკრეტული მოდელი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია მოცემულ საგანმანათლებლო სიტუაციაში ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობა.

CLIL-ში საგნების არჩევა გაცილებით უფრო მოქნილია ვიდრე დისციპლინების არჩევა ტრადიციული სასკოლო კურიკულუმიდან. რომელი საგანიც არ უნდა იყოს, ისინი შეესაბამებიან CLIL-ის ზოგიერთ პროგრამას. მასწავლებლების ხელმისაწვდომობის, ენობრივი მხარდაჭერის, შემსწავლელთა ასაკისა და სოციალური მოთხოვნების გამო შესაძლებელია საგნის სხვადასხვაგვარი არჩევა. უფრო ზუსტად თუ რა იგულისხმება CLIL-ის საგნობრივ შინაარსებში დამოკიდებულია თვითონ სასწავლო ინსტიტუციის კონტექსტზე, რაც შეიძლება მოიცავდეს დაწყებული ეროვნული კურიკულუმის სწავლებიდან დამთავრებული პროექტებით რომელიც დაფუძნებულია თემატურ საკითხებზე და აერთიანებს კურიკულუმისაგან განსხვავებულ ასპექტებს.

საგნობრივი შინაარსი CLIL-ში შეიძლება იყოს ინტერდისციპლინარული, თემატური, კურიკულუმის მომცველი ან აქცენტს აკეთებდეს კონკრეტულ თემაზე, როგორცაა მოქალაქეობრიობა, ჯანმრთელობის პრობლემა, გლობალური საკითხები, გენოციდი და ა.შ.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ, CLIL იძლევა საშუალებას რომ როგორც ჩვეულებრივი კურიკულუმის ფარგლებში ისე მის მიღმაც ხელი შეუწყოს სწავლების პროცესის დაწყებას, მის გამდიდრებას, უნარების შეძენას და განვითარებას.

#### 4.1. კურიკულუმის მოდელი საშუალო განათლების დონისთვის

საშუალო სკოლის საფეხურზე შესაძლებელია უფრო დახვეწილი CLIL გაკვეთილების განხორციელება, რადგანაც შემსწავლელები უფრო კომპეტენტურები არიან CLIL-ის ენაში და სწავლის უნარებიც უკეთესად აქვთ განვითარებული ვიდრე დაწყებითი ან საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. სრულიად შესაძლებელია რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილები მათთვის წარმოადგენდეს მეორე, დამატებითი ენის გაცნობის საშუალებას. მოსწავლეები უფრო მოტივირებულები არიან რადგან მათ საგაკვეთილო პროცესში საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას იძლევა არა მარტო მათი ზოგადი განათლების, არამედ საკუთარი უნარების განვითარებას, რათა დაამყარონ შესაბამისი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე (დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

საშუალო განათლების მოსწავლეთა ჯგუფებში ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მოტივი ძირითადად დაკავშირებულია მშობლებისა და სკოლების დამოკიდებულებასთან გლობალიზაციის მიმართ და მოგეხსენებათ ინგლისურს როგორც CLIL-ის ენას დომინანტური პოზიცია უჭირავს ბევრ ქვეყანაში (გარსია, 2009) არსებობს შეხედულებები საგანმანათლებლო და პროფესიული ცხოვრებისთან დაკავშირებით რომ აკადემიური და ფროფესიული კვლევები ეხმარება შემსწავლელებს ისეთი მომავალი შესაძლებლობების მომზადებაში, სადაც ინგლისური ენის გამოყენება იქნება საჭირო. შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილ მოდელებში დიდი დატვირთვა მოდის კოგნიციაზე, რის გამოც იქმნება საჭიროება მისი შექმნა კარგად ინტეგრირებული პრინციპებით (გარსია, 2009).

##### მოდელი 1, ორმაგი სკოლის განათლება

აღნიშნულ მოდელში სკოლები სხვადასხვა ქვეყნიდან აზიარებენ რომელიმე კონკრეტული მოდულის სწავლებას ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც CLIL-ის ენა ორივე კონტექსტისთვის წარმოადგენს დამატებით ენას. მოსწავლეები მუშაობენ როგორც

საგნობრივი შინაარსის ასევე ენის მასწავლებლებთან ერთად, სადაც ისინი მონაწილეობას იღებენ პრობლემის გადაჭრის დავალებებში ახალი მედიის გამოყენებით და მუსაობენ ენა მედიუმზე.

## **მოდელი 2, ბილინგვური განათლება**

მოსწავლეები რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობენ საგნების უმეტესობას CLIL-ის ენაზე. აღნიშნული მოდელის მიზანია საგნობრივი შინაარსისა და ენობრივი უნარების განვითარება. შემსწავლელები ეუფლებიან შესაბამისი ენის მაღალ უნარებს კონკრეტულ საგნებში და ასევე მისი შემავსებელი არის ენის სწავლაც, რომელიც ორიენტირებულია ინტერპერსონალური უნარებსა და ენაში კოგნიტურ გაწაფულობაზე. აღნიშნული მოდელი მოითხოვს კარგად შემუსავებულ კურიკულუმისა და ინსტიტუციის ხელშეწყობას.

## **მოდელი 3, ინტერდისციპლინარული მოდული**

ენა მედიუმზე ისწავლება კონკრეტული მოდული, რომელიმე თემის გარშემო: გარემოსმცოდნეობა, ჯანდაცვა, ეკოსისტემა და ა.შ, სადაც ჩართულები არიან მასწავლებლები სხვადასხვა დისციპლინებიდან. ინტერდისციპლინარულ მოდელზე მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ განათლების ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმად, რომელსაც ახასიათებს ცოდნის გამოყენება და შერწყმა, სწავლის სპეციფიკური ტიპების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი.

## **მოდული 4, ენაზე დაფუძნებული პროექტები**

აღნიშნულ მოდელში ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ენის მასწავლებლებს. მოდელი მოიცავს შესაბამისი საგნობრივი შინაარსის სწავლებას და კომუნიკაციას CLIL-ის ენაზე, რისთვისაც ენის მასწავლებელი აშენებს ხარაჩოებს. ენაზე დაფუძნებული პროექტის მოდელი ითვალისწინებს როგორც შინაარს ასევე საკომუნიკაციო ენის შესწავლასა და გამოყენებას(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

## თავი V. მასშტაბი

### 5.1. ინტენსიური სწავლება შუალედური ენით

ინტენსიური სწავლება შუალედური ენით გულისხმობს უმეტესად შუალედური ენის გამოყენებას გაკვეთილის წასამართად. პირველ ენაზე გადართვა ხდება მხოლოდ სპეციფიკური ტერმინების და ენობრივი ასპექტების განსამართად. მკაფიოდ შესამჩნევია აქცენტი შინაარსზე, ენასა და კოგნიციაზე. აღნიშნულ მოდელში გამოიყენება ხარაჩოს მიდგომა, ლექსიკის, კონცეფციებისა და გრამატიკის შესასწავლად შინაარსთან ერთად. საგნობრივი შინაარსის სწავლა ხდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს ენის შესწავლასა და გაგებას.

აღნიშნული სწავლების მოდულის პროცესს ხელმძღვანელობს საგნის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად თანამშრომლობს ენის მასწავლებელთან. ეს ხდება მაშინ თუ ენა ისწავლება შინაარსის პარალელურად ენის გაკვეთილებზე ან კიდევ გარკვეული ლინგვისტური ერთეულები ისწავლება წინასწარ. ის ენა რომელიც რელევანტური იქნება საგნობრივი შინაარსისათვის უნდა ასწავლოს ენის მასწავლებელმა, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იქნება საგნობრივი შინაარსის სწავლებაზე.

შუალედურ ენაზე ინტენსიური სწავლება მოითხოვს კურიკულუმის მიზანმიმართულად შექმნას სადაც გათვალისწინებულია როგორც შინაარსის ისე ენის მიზნები. სკოლის ინდივიდუალური კონსტრუქტიდან გამომდინარე CLIL-ის გამოყენებით ნასწავლი შინაარსი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგნიდან. მასწავლებლების თანამშრომლობის საფუძველზე ყურადღება ექცევა სწავლის ზოგად უნარებსა და მათში განხორციელებულ ენას. CLIL-ის ენა, რომლითაც მიმდინარეობს საგნების სწავლება შეიძლება გამოიყენებოდეს ძალიან ინტენსიურად შინაარსზე დაფუძნებული მიზნებიდან გამომდინარე, რათა შეიქმნას ყველა მოსწავლისთვის თანაბარი პირობა (დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).



## 5.2. ნაწილობრივ სწავლება შუალედურ ენაზე

წინამდებარე მოდელის მგსავსად აქაც ფოკუსირება ხდება საგანზე, ენაზე და აზროვნებაზე. ასეთ მოდელებში სადაც სწავლა ხდება ნაწილობრივ შუალედური ენით, CLIL-ით ისწავლება რამოდენიმე საგნის შინაარსი. შეზღუდული იმპლემენტაციის პერიოდების მიხედვით შეიძლება საგნების მხოლოდ 5% ისწავლებოდეს. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება პროექტებზე დაფუძნებული მიდგომები სადაც, პასუხისმგებლობა ეკისრება ენისა და საგნის მასწავლებელს ერთად ან ერთ-ერთს. გაკვეთილების პროცესში მონაცვლეობით ერთვებიან შუალედური და პირველი ენა. ენების როლი გადანაწილებულია სხვადასხვა ფუნქციების შესასრულებლად. შესაძლებელია ისიც რომ ორი განსხვავებული ენა გამოიყენებოდეს სპეციფიკური ტიპის აქტოვობისათვის, რომელსაც ტრანს ენობრიობა ეწოდება.(კოდური გადართვის ტიპი). ტრანსენობრიობა ეფუძნება საგნობრივი შინაარსის, ენისა და კოგნიციის დაგეგმილ განვითარებას. CLIL-ის დამწყებმა მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ პირველი ენა მასწავლებელთან პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ მასწავლებელი მათ კითხვებს CLIL-ის ენაზე უპასუხებს(დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

მკვლევარები მიიჩნევენ რომ ტრანსენობრივი მეთოდი ძალიან ეფექტურია, სადაც კითხვა და მოსმენა ხორციელდება ერთ ენაზე ხოლო ლაპარაკი და წერა მეორე ენაზე და როგორც უკვე აღვნიშნეთ სწავლების პროცესში ენის ფუნქცია ხშირად იცვლება. მაგალითად, გაკვეთილზე მოსწავლეებმა შეიძლება წაიკითხონ ქართულად და დისკუსია მიმდინარეობდეს ინგლისურად და გაკვეთილების ბოლოს წერიტი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს ქართულად ან ნებისმიერ პირველ ენაზე.

## თავი VI. პედაგოგთა თანამშრომლობა CLIL-ის სწავლების პროცესში

როგორც ზემო თავებში აღვნიშნეთ CLIL-ის სწავლების წარმატებული რეალიზებისათვის აუცილებელია მასწავლებელთა თანამშრომლობა მოსწავლეებს შორის, ასევე მასწავლებლებს შორის და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. პირველ რიგში აუცილებელია ამ მნიშვნელობის გააზრება თავად არა მხოლოდ CLIL-ენის (ინგლისურის) მასწავლებლების, არამედ სხვა საგნების მასწავლებლების მიერაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მასწავლებლებისათვის სასარგებლოა მათი ხშირად შეკრება და საუბარი იმ თემებზე თუ რას და როგორ სწავლობენ კონკრეტული კლასის მოსწავლეები თითოეულ საგანში. მსგავსი სახის ინფორმაციის გაცვლა აუცილებლად შეუქმნის მათ სამუშაოს ერთმანეთში შეთანხმებისა და გაიოლების საფუძველს. ასევე მათ შეუძლიათ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება, რათა შეაფასონ მოსწავლეების ენის ცოდნის დონე. ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნას და აფართოებს თითოეული მასწავლებლის წარმოდგენას თეორიისა და პრაქტიკის გაკვეთილებზე შეფარდების შესახებ. ჩვეულებრივი დახმარება არ ნიშნავს თანამშრომლობას, ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის ურთიერთშეთანხმება და კოლეგისათვის სასწავლო გეგმის დარეგულირებაში დახმარება((დ.კოილი; ფ.ჰუდი; დ.მარში; 2010).

სასწავლო საგნის შინაარსისა და ენის ათვისების ინტეგრირება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის ვალდებულებაც მასწავლებელს აკისრია, რათა თავისი საგნის CLIL-ენაზე სწავლების წარმატებულად გადასვლა შეძლოს. ეს რა თქმა უნდა რთულად მისაღწევია, რომელიც მასწავლების კოლაბორაციის გზით არის შესაძლებელი. აქ ვგულისხმობთ როგორც ენა მედიუმის, ჩვენს შემთხვევაში ინგლისურის, ასევე სხვა სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას.

თეორიულ ლიტერატურაში აღწერილი კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური და რთული ენის გამოყენება სასწავლო საგნის ათვისების დროს დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სწავლების ენაში არც თუ ისე გაწაფულები არიან. ასევე არ შეიძლება სასწავლო საგნის შინაარსის შესწავლის

გადადება, რათა არ გამოიწვიოს ჩამორჩენა სწავლაში და ასევე სხვა მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითება.

გამოკვლევის შედეგად იკვეთება ის პრობლემები, რომლებსაც მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, როდესაც თავიანთი საგნის სწავლებისას მეორე ენაზე გადადიან CLIL-ის სწავლების პროცესში. პირველ რიგში მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც უნდა დაძლიონ ფსიქოლოგიური პრობლემები, ასევე უნდა იცოდნენ სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურის შერჩევა და მათი ეფექტურად გამოყენება, უნდა დასახონ შესაბამისი სწავლის მეთოდები და დრო სარფიანად გამოიყენონ, და ბოლოს აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ მშობლებთან, რათა მათ მხარდაჭერას დიდი ხელშეწყობა აქვს CLIL-ის სწავლების პროცესში.

უნდა აღვნიშნოთ რომ, სასწავლო პროცესი და ენის ათვისება უფრო წარმატებულად მიმდინარეობს, როდესაც მეორე ენა გამოიყენება სწავლის საშუალებად და არა საგნად. სწავლების ენისა და საგნობრივი შინაარსის დაუფლების ინტეგრირება კი დამოკიდებულია მასწავლებლის თანამშრომლობის უნარზე მოსწავლეებთან. ენისა და საგნის ინტეგრირება მოიაზრებს მასალის ენის გაკვეთილებში ჩართვას. შესაბამისად ინტეგრირებული მიდგომა აგებს ხიდს მეორე ენის გაკვეთილებსა და ასათვისებელ სასწავლო დისციპლინებს შორის(დ.კოილი,2007)

## 6.1. LOCIT: გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკა (პროფესიული განვითარებისთვის) (Lesson observation and critical incident technique)

მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის ფლობას ადასტურებს სტენჰაუსი: „არაა საკმარისი მასწავლებლების მუშაობის შესწავლა, მათ ეს თვითონ უნდა შეისწავლონ“ (სტენჰაუსი,1975:143). საკლასო პრაქტიკის გაზიარება სცილდება მასალების მომზადებისა და სწავლის შედეგებს, რაც მოიცავს CLIL მასწავლებლების მიერ პრაქტიკის შესახებ საკუთარი თეორიების თავმოყრას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ გარემოსთვის სადაც ეროვნული კურიკულუმი წინასწარ განმსაზღვრელია ან CLIL-ის მიდგომა არ ჯდება მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილ გზებში. ფროფესიული სწავლის განვითარების ახალი მეთოდი რომელიც მოიცავს გამოკითხვაზე დაფუძნებულ პრაქტიკას გახლავთ გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკის პროცესი(კოილი,2005).მისი ძირითადი მიზანია შექმნას ჩარჩო პროფესიული თანამშრომლობისათვის და სხვადასხვა თეორიების შემუშავებისა და განვითარებისათვის. LOCIT- მოითხოვს მასწავლებლებისაგან ერთობლივ მუშაობას და კრიტიკულ განსჯას, იგი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს შექმნან და გააზიარონ წარმატებული CLIL გაკვეთილზე (პრაქტიკაზე) დაფუძნებული მტკიცებულებები. ეს მოიცავს სრული გაკვეთილის ან გაკვეთილების მიმდევრობის გადაღებას, საკვამო სასწავლო მომენტების ამოჭრას და ამ ამოჭრილი ფრაგმენტების შემსწავლელებთან და მოსწავლეებთან ერთად განხილვას.ანალიზისთვის გაკვეთილის არჩევა ხდება მასწავლებლების ან მოსწავლეები მხრიდან. გაკვეთილების გარჩევა-განხილვა ხდება კრიტიკული ინციდენტის ტექნიკით (კიტი-CIT) რეფლექსიისა და სიღრმისეული, ფოკუსირებული დისკუსიისათვის. გაკვეთილებს აკვირდება კოლეგა, ან რომელიმე მასწავლებელი CLIL-ის ქსელის სკოლიდან, ვიდეოკონფერენციების საშუალებით. ვიდეოს ჩაწერის შემდეგ, მონაწილეები მომოიხილავენ ვიდეოს, აანალიზებენ და უკეთებენ რედაქტირებას. არჩეული ვიდეოკლიპის რედაქტირების ვერსია არ უნდა აღემატებოდეს 10-15 წუთს. მთავარი მიზანია გაკვეთილის იმ მომენტში დაფიქსირება,სადაც მონაწილეების აზრით ხდება

შესწავლა. შესამაბისად კრიტიკული ინციდენტის ტექნიკა ხელს უწყობს კონკრეტული გაკვეთილის რედაქტირების პროცესს და ანალიზის მონაწილეთაგან მოითხოვს იმ პატარა ფრაგმენტის ამორჩევას, რაც ყველაზე უკეთ წარმოადგენს გაკვეთილის სწავლის მომენტს, რომელიც უპასუხებს წინასწარ შერჩეულ კითხვებს თუ როგორ მოხდა, როდის მოხდა და რატომ მოხდა სიახლის შესწავლა კონკრეტულ მომენტში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, CIT ანალიზის მოითხოვს რეფლექსიას და დისკუსიას. მაგალითისთვის მოსწავლეების ჯგუფს შეუძლიათ იმუშავონ ტექნოლოგიის გაკვეთილის ანალიზზე, რომლის საშუალებითაც ისინი განავითარებენ თავიანთ უნარებს ციფრული რედაქტირების ინსტრუმენტების გამოყენებაში. სწავლების მომენტების აღწერა და ანალიზი ასევე შესაძლებელია წერილობითი, ზეპირი ან ცხრილის სახით. გაზიარების პროცესი იწყება ერთი რომელიმე კონკრეტული ინსტიტუციის შიგნით და ძალას იძენს სხვადასხვა ინსტიტუციის მასწავლებლებთან კავშირის შედეგად, რომლებიც განათლების სხვადასხვა ორიენტაციებს წარმოადგენენ. მაგალითად CLIL-ის მეცნიერების მასწავლებლები თავიანთ LOCIT ვერსიას გაუზიარებენ გეოგრაფიის მასწავლებლებს ან მთავარი ენის მასწავლებლებთან. კლიპების ფოკუსი არ არის თვით საგანი არამედ CLIL-ის სწავლის უფრო ღრმა დონე. შესაბამისად იდეების მტკიცებულებების გაზიარება, გაზიარება იმისა თუ რას ფიქრობენ ნებისმიერი ასაკის შემსწავლელები, მასწავლებლებს საშუალებას აძლევს შექმნან თავიანთი პრაქტიკული თეორიები თუ რატომ და როგორ სწავლობენ მათი მოსწავლეები. მასწავლებლების ამგვარ კოლაბორაციას შეუძლია საერთო და ინდივიდუალური პრაქტიკის უფრო ღრმა გაგების მოტანა, კერძოდ გაგებას იმისა თუ რა მუშაობს კლასში უკეთ და რა არა. ეს თეორიები საშუალებას იძლევა ინდივიდების, ჯგუფების გაკონტროლებისა რათა განავითარონ საკუთარი პროფესიული სწავლა და დასახონ მიზნები მომავლისათვის.

აუცილებელია აღნიშვნა იმისა რომ ზემოთ შემოთავაზებული იდეები და შემოთავაზებები არ უნდა აღვიქვათ როგორც CLIL-ის წინასწარ განსაზღვრული და დადგენილი ფორმულები, არამედ როგორც ხელშემწყობი ფაქტორები დებატებსა და

იდების წარმოშობის განვითარებაში ინდივიდებს შორის, რაც ეხმარება მათ წარმატებული და ეფექტური გაკვეთილის სწავლა სწავლების პროცესითვის.

# კვლევითი ნაწილი

## კვლევის ზოგადი აღწერა.

საკვლევი თემის მიზანია საქართველოში სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკის კვლევა, კერძო საგანმანათლებლო ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მაგალითზე. იმისათვის, რომ სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა არსებული პრაქტიკა და თავიდან აგვეცილებინა სუბიექტური ინტერპრეტაცია, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ფოკუს ჯგუფი და ინტერნეტ გამოკითხვა(Google Doc). ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო დისციპლინების ინგლისურ ენასთან ინტეგრირებულად სწავლების პრაქტიკის კვლევას ვერ განვაზოგადებთ მთლიანად საქართველოში არსებულ მსგავსი ტიპის სკოლებზე რომლებიც CLIL(content and language integrated learning)-მეთოდოლოგიით ასწავლიან.

## კვლევის დიზაინი და მეთოდი

გამომდინარე იქიდან რომ კვლევა ჩატარდა კერძო საგანმანათლებლო ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მაგალითზე, ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით რესპოდენტთა შერჩევა იყო მიზნობრივი. კერძოდ, ფოკუს ჯგუფისთვის შეირჩა ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო კლასის საფეხურის 5 მასწავლებელი და ინტერნეტ გამოკითხვისთვის ამავე სკოლის საშუალო კლასის 14 მასწავლებელი. თეორიული მასალის დამუშავების საფუძველზე შევადგინეთ სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ფარგლებში გვსურდა მეტი რესპოდენტის გამოკითხვა, მაგრამ ზოგიერთმა მასწავლებელმა უარი განაცხადა დროის უქონლობის გამო.

საკვლევი თემის ფარგლებში შევადგინეთ სტრუქტურირებული კითხვარი ფოკუს ჯგუფისთვის და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი ინტერნეტ გამოკითხვისთვის. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მასწავლებლებთან

ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ წარმოდგენილია უცვლელად. ინტერნეტ გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფის კითხვარის გაანალიზებული შედეგები წარმოდგენილია მსგავსი ხედვებისა და მოსაზრებების შეჯამებული სახით. აღნიშნულის შეჯამებით, ვფიქრობთ გაადვილდება საერთო სურათის წარმოჩენა.

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის შემუშავებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მიზანი იყო გამოგვეკვითა ის საკითხები, რაც არსებული პრაქტიკის გაანალიზებაში დაგვეხმარებოდა. იმისათვის, რომ მოგვეპოვებინა რესპოდენტთა ზოგადი ინფორმაცია და დაგვედგინა მათი აკადემიური ხარისხი, CLIL მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება და სქესი დავსვით შესაბამისი კითხვები:

**1. სქესი**


**2. განათლება, სპეციალობა**

**3. CLIL (Content and language integrated learning) მასწავლებლად მუშაობის საერთო სტაჟი**

კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით გამოკითხულთა 14.3% წარმოადგენს მამაკაცს, ხოლო 85.7% შეადგენს მდედრობით სქესს. რესპოდენტთა ნაწილი ფლობს მაგისტრის ან დოქტორის დიპლომს შესაბამის საგნებში. აღსანიშნავია რომ გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთს აქვს მათემატიკის ბაკალავრი დამთავრებული და ამჟამად სწავლობს მასწავლებლთა განათლების პროგრამის პირველ კურსზე. რაც შეეხება CLIL მასწავლებლად მუშაობის სტაჟს, იგი მერყეობს 1 დან 5 წლამდე. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხულთაგან ყველაზე დიდი სწავლების გამოცდილება ჰქონდა 2 რესპოდენტს 10 და 14 წელი.



#### 4. რესპოდენტთა სტატუსი:




დიაგრამა 1.

5.გამოკითხულ რესპოდენტთა შორის მონაწილეობას იღებდენ შემდეგი დისციპლინების მასწავლებლები: მათემატიკა 2, ისტორია 1, ინგლისური ენა 6, ქიმია 2, ფიზიკა 2, ბიოლოგია 3, ბიზნეს უნარები 1, IT-1, ესპანური ენა 1, გეოგრაფია 1.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენა და ლიტერატურა არ ისწავლება CLILმეთოდოლოგიით.

იმისათვის რომ დაგვედგინა მასშტაბი შუალედური ენის, ჩვენს შემთხვევაში ინგლისური ენის გამოყენებისა და ასევე გამოგვეჩვენა „ენის კოდური გადართვის“ (Code Switching) შემთხვევებიდავსვით შემდეგი კითხვები:


6.ინტეგრირებული გაკვეთილის რამდენი პროცენტი მიმდინარეობს CLIL-ის (content and language integrated learning) ენაზე? (ინგლისური ენა)



**დიაგრამა 2.**

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს რესპოდენტთა ხმები გაიყო CLIL-გაკვეთილების ინგლისური ენაზე მიმდინარეობის 40%-50% სა და 60% -ზე მეტს შორის. უნდა აღვნიშნოთ, რომ არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა როდესაც მასწავლებელი ინგლისური ენის 10 %-ზე ნაკლებს იყენებს ინტეგრირებულ საგაკვეთილო პროცესში.

**7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ სიტუაციაში და რა სიხშირით მიმართავთ code switching-ს (ენის კოდური გადართვა)?**



**დიაგრამა 3.**

მასწავლებელთა უმეტესობა ზოგჯერ თუ მიმართავს ენის კოდურ გადართვას კლასთან ზეპირად მიმართვის დროს(დიაგრამა 3), ასევე დისკუსიისას იშვიათად გამოიყენება ენის კოდური გადართვა და მასწავლებელთა უმრავლესობა ასევე იშვიათად მიმართავს code switching-ს კოლეგებთან ზეპირად მიმართვისას.რაც შეეხება სპეციფიკური/საკვანძო ფრაზებისა და ტერმინების განმარტებისას აქ იმ მასწავლებელთა რაოდენობა თანაბარია ვინც საკუთარ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ხშირად და იშვიათად მიმართავს ენის კოდურ გადართვას.


ჩვენს მიერ შეთავაზებულ კითხვარში ასევე გვინდოდა გამოგვეკვითა თუ რა სიხშირით აწყდებიან მასწავლებლები ქვემოთ ნახსენებ პრობლემებს. ამისათვის კი დავსვით შემდეგი შეკითხვა:

**8.ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან/სირთულეებიდან რომელს აწყდებით და რა სიხშირით CLIL-ის(Content and language integrated learning) საგაკვეთილო პროცესში?**

გამოკითხულ რესპოდენტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ინგლისური ენის სირთულეს მოსწავლეებში ხშირადაწყდებიან, მხოლოდ ერთი რესპოდენტი ადასტურებს რომ ამ პრობლემას არასდროს ხვდება გაკვეთილების ჩატარების დროს. რაც შეეხება ენისა და საგნის კომბინირებას, რვა მასწავლებელი ადასტურებს რომ ამ პრობლემას ზოგჯერ თუ ხვდებიან გაკვეთილების ჩატარებისას. ერთ-ერთი ამ პრობლემეთაგან არის არასაკმარისი დრო ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად, სადაც რესპოდენტთა პასუხები ასე ნაწილდება: 3 მათგანი თვლის რომ ამ პრობლემას ხშირად აწყდება, 2 -ზოგჯერ, 6 - იშვიათად, 2 მათგანი კი არასოდეს და 1 მასწავლებელი კი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. მნიშვნელოვანია ასევე პრობლემა საგნობრივი შინაარსის არასაკმარისი ცოდნა შემსწავლელელებში, სადაც ფიქსირდება შემდეგი პასუხები: მხოლოდ 2 მასწავლებელი მიიჩნევს რომ ეს პრობლემა ხშირია მათ გაკვეთილებზე, 8 რესპოდენტი მიიჩნევს რომ ზოგჯერ, 2- იშვიათად, 1-არასდროს და 1 თავს იკავებს.


კითხვარის ფარგლებში რესპოდენტებს ვთხოვეთ გაეცათ შემდეგ კითხვებზე პასუხი, რათა დაგვედგინა ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლების ხარისხი უმჯობესდებოდა თუ არა როგორც ენაში ისე საგანში.

9.თქვენი აზრით, CLIL( content and language integrated learning) მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილები ინგლისური ენის სწავლების ხარისხს აუმჯობესებს შემსწავლელელებში?



დიაგრამა 4.

10.თქვენი აზრით, ინტეგრირებული გაკვეთილების პროცესში სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხი უმჯობესდება?



დიაგრამა 5.

11.თქვენი აზრით, CLIL(content and language integrated learning) მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილი ეფექტურია?

12.თუ თვლით რომ CLIL(content and language integrated learning) მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილი ეფექტურია გთხოვთ დაასაბუთოთ რატომ.

რესპოდენტთა 64.3% თვლის რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები ეფექტურია, ხოლო დანარჩენი 35.7% თავს იკავებს შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან. თუ რატომ არის ეფექტური CLIL მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილები რესპოდენტები პასუხობენ:

„ვფიქრობ ასეთი ტიპის გაკვეთილები მოსწავლეებში აღვივებს მოტივაციას და იწვევს მათ მეტად ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, შესაბამისად ისინი იღრმავებენ ისევე როგორც საგნის ცოდნას, ასევე ენის ბარიერსაც აღვილად ლახავენ“.

„ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სტუდენტის პროგრესი უფრო თვალშისაცემი გახდეს, მოხდეს მისი დინამიკაში დაკვირვება,ხოლო მასწავლებელს კი პროფესიული

სრულყოფისთვის გამოადგება, გარდა ამისა ენის ფუნქციური გამოყენებისთვის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა“.

„მსგავსი ტიპის გაკვეთილები შემსწავლელებში ავითარებს ენობრივ კომპეტენციას და პარალელურად ხელს უწყობს საგნის შინაარსის ათვისებაში, და ასევე მოსწავლეებს უმუშავდებათ მაღალი აზროვნების უნარი“.

გამოკითხულ მასწავლებელთა აზრით CLIL მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილები ეფექტურია , რადგანაც ეს მეთოდი მოსწავლეებში იწვევს არამარტო ენობრივი კომპეტენციის გაფართოებას და საგნობრივი შინაარსის შესწავლას, არამედ ანვითარებს მათ სააზროვნო უნარებსაც.

მასწავლებლებს ვთხოვეთ შეეფასებინათ დებულებები საკუთარი CLIL პრაქტიკიდან გამომდინარე:

როგორც მოგეხსენებათ CLIL გაკვეთილის დაგეგმვა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს როგორც ენობრივ ისე საგნობრივ ასპექტებს, ამ ყველაფრის განხორცილება კი ევალებათ მასწავლებლებს. გამოკითხვამ აჩვენა რომ რესპოდენტთა უმრავლესობა ეთანხმება ან ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ დებულებას:*ვიცი როგორ დავგეგმო ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელიც მოიცავს როგორც ენობრივ ისე საგნობრივ ასპექტებს (1)*

ასევე მე-2 და მე-3 დებულებებზე:*ვთვლი რომ საკმარისი ენობრივი კომპეტენცია გამაჩნია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად; ვთვლი რომ საკმარისი საგნობრივი კომპეტენცია გამაჩნია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად;* თუ 8 რესპოდენტი ადასტურეს რომ ეთანხმება, 4 რესპოდენტი ნაწილობრივ ეთანხმება და 2 ამათგან თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან.

რესპოდენტთა უმრავლესობა (7 მასწავლებელი) ნაწილობრივ ეთანხმება რომ *ადვილია ენის სწავლება საგნობრივი შინაარსების გაკვეთილებზე*, 2 რესპოდენტი ეთანხმება, 1 რესპოდენტი ნაწილობრივ არ ეთანხმება, 2 არ ეთანხმება და 2-იც თავს იკავებს

პასუხის გაცემისაგან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიგულისმოდეთ რომ მასწავლებლებს, რა თქმა უნდა, ხვდებათ სირთულეები ენის სწავლებისას საგნობრივ გაკვეთილებზე, რაც უნდა აღვნიშნოთ რომ ნაწილობრივ დასტურდება რესპოდენტთა მიერ მე-5 კითვაზე გაცემული პასუხებიდანაც.

გარდა იმისა, რომ ინტეგრირებული სწავლება ორიენტირებულია საგნისა და ენის ერთობლივ შერწყმულ სწავლებაზე, ასევე მნიშვნელოვანია სწავლის უნარები, რომლის შემუშავებაც ეხმარება მოსწავლეს საგნობრივი შინაარსისა და ენის სასწავლო მიზნების სრულყოფაში. ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობაეთანხმება რომ *ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისას მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების დაგეგმვა რომელიც ხელს უწყობს კოგნიტური და ენობრივი უნარების განვითარებას*(5), შესაბამისად, პასუხები კითვებზე: *იყენებენ თუ არა კოგნიტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს*(13), *ასევე ლინგვისტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს*(14) და *სხვადასხვა სახის სასწავლო მასალებს ვაგროვებ სტუდენტებისთვის საგნობრივი შინაარსის გასაღრმავლებლად*(20) შემდეგს ამტკიცებს: მასწავლებლების უმრავლესობა ეთანხმება, რომ CLIL საგაკვეთილო პროცესში იყენებს კოგნიტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს, ხოლო უმცირესობა ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ დებულებას. რაც შეეხება მე-14 დებულებას: *ვიყენებ ლინგვისტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს*, აქაც დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა, რესპოდენტთა უმრავლესობა (12 მასწავლებელი) იყენებს ლინგვისტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს თავიანთ CLIL გაკვეთილებზე, ხოლო გამოკითხულთაგან 2 მათგანი ნაწილობრივ არ ეთანხმება და 2 რესპოდენტი თავს იკავებს დებულების შეფასებისაგან.

რაც შეეხება მე-20 დებულებას: *სხვადასხვა სახის სასწავლო მასალებს ვაგროვებ სტუდენტებისთვის საგნობრივი შინაარსის გასაღრმავლებლად*, რესპოდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება რომ ისინი აგროვებენ სხვადასხვა სახის მასალებს, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებში საგნობრივი შინაარსების გაღრმავებას.

რაც შეეხება 21 დებულებას: *ვიყენებ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებას* მასწავლებელთა უმრავლესობა ეთანხმება მოცემულ დებულებას.

შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე იყენებენ მასალებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ენობრივი, აზრობრივი და საგნობრივი შინაარსის გაღრმავებას, და ასევე უმრავლესობა მასწავლებლებისა იყენებს საჭირო აქტივობებს რომლებიც მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებისთვის არის საჭირო.

დო კოილის მიხედვით (2010), CLIL მეთოდოლოგიის განხილვა და მისით სწავლება შეუძლებელია 4 -სი ჩარჩოს გარეშე, რომლებიც ახდენენ კონტექსტუალიზებული „სამშენებლო ბლოკის“ ინტეგრაციას: შინაარსი (content) სადაც იგულისხმება საგნობრივი შინაარსი, კომუნიკაცია (communication)- ენის სწავლა და გამოყენება, აზროვნება (cognition)- სწავლისა და აზროვნების პროცესები და კულტურა (culture)- ინტერკულტურული გაგებისა და გლობალური მოქალაქეობის გამომუშავება. იმისათვის რომ მასწავლებელთა აზრი დაგვეფიქსირებინა ამასთან დაკავშირებით ჩამოვყალიბეთ შემდეგი დებულებები: *CLIL გაკვეთილების ჩატარება მოიცავს კონკრეტული მეთოდოლოგიის ცოდნის აუცილებლობას(6) და CLIL მოიცავს უფრო მეთოდოლოგიურ ცოდნას(4-სი ჩარჩო: კოგნიცია, კულტურა, შინაარსი, კომუნიკაცია) ვიდრე სტანდარტული (ინგლისური) ენის მასწავლებელი ან საგნის მასწავლებელი ფლობს(10).* რესპოდენტთა უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება რომ ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლება მოიცავს კონკრეტული მეთოდოლოგიის ცოდნას და ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება მოიცავს მეთოდოლოგიურ ცოდნას, (4-სი კონცეპტუალური ჩარჩო) ვიდრე ცალკე ენის ან საგნის მასწავლებელს მოეთხოვება.

გამომდინარე იქიდან რომ ყოველთვის არსებობდა ეჭვი, რომ ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილებზე საგნის შინაარსის შესწავლა არ შეიძლებოდა ისეთივე



შედგენიანი ყოფილიყო, როგორც მშობლიურ ენაზე შესწავლილი, ჩამოვყალიბეთ შემდეგი დებულება: *საგნობრივი შინაარსის სწავლება CLIL კლასებში ისეთივე ეფექტურია როგორც სტანდარტული საგნის გაკვეთილების კლასებში(19)*. მხოლოდ ორი მასწავლებელი ეთანხმება ამ დებულებას და 6 ნაწილობრივ ეთანხმება, 1 მასწავლებელი ნაწილობრივ არ ეთანხმება, 2- არ ეთანხმება და 1 მასწავლებელი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

მასწავლებლების შეფასებებიდან გამოდინარე ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგანაც რადიკალურად განსხვავებული პასუხები არ დაფიქსირებულა.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა ეთანხმება რომ ისინი თავიანთ CLIL გაკვეთილებზე ორიენტირებულები არიან კულტურულ ასპექტებზე, რაც ერთ ერთი მნიშვნელოვანია ამ მეთოდოლოგიაში და 4-სი ჩარჩოს ერთ ერთი შემადგენელი კომპონენტია. მასწავლებელთა შეფასებები დებულებაზე: *CLIL- საგაკვეთილო პროცესში ყურადღებას გამახვილებ კულტურულ ასპექტებზე(25)*, ასე გადანაწილდა: 10 რესპოდენტი ეთანხმება და 4 რესპოდენტი ნაწილობრივ ეთანხმება.

შეგროვებული მონაცემები ადასტურებს, რომ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში მასწავლებლები, თავიანთ გაკვეთილებზე ორიენტირებულები არიან კულტურულ ასპექტებზე.

*CLIL-ით სწავლება მოითხოვს მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრას(23):*

14 გამოკითხული მასწავლებლიდან 7 ეთანხმება წარმოდგენილ დებულებას, 3 - ნაწილობრივ ეთანხმება, მხოლოდ 1 რესპოდენტი ნაწილობრივ არ ეთანხმება და 2 მათგანი თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.

*CLIL-ით სწავლება მოითხოვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის შერჩევას(24):*

მოცემულ დებულებას რესპოდენტთა უმრავლესობა(8 მასწავლებელი) ეთანხმება, 2 ნაწილობრივ ეთანხმება, 1 ნაწილობრივ არ ეთანხმება და 2 მათგანი თავს იკავებს მოცემულ დებულებაზე პასუხის დაფიქსირებისგან.

*CLIL-ით სწავლება უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის გაკვეთილი(28):*

გამოკითხულ რესპოდენტთაგან 9 მასწავლებელი ეთანხმება, 4 მასწავლებელი ნაწილობრივ ეთანხმება, და მხოლოდ 1 თავს იკავებს დებულებაზე პასუხის დაფიქსირებისაგან.

*CLIL-ით სწავლება უფრო მეტ დროს მოითხოვს ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის გაკვეთილი(29):*

რაც შეეხება დროს, 8 მასწავლებელი ეთანხმება და 6 ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 1 თავს იკავებს დებულების შეფასებაზე.

*მოსწავლეები მიმართავენ სკაფოლდინგს CLIL-გაკვეთილებზე მოცემული დავალებების შესასრულებლად(23):*

რესპოდენტთა უმრავლესობა, რომელიც შეადგენს 10 მასწავლებელს ეთანხმება, 2 მათგანი ნაწილობრივ ეთანხმება და 2 თავს იკავებს დებულების შეფასებაზე.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მოითხოვს შემსწავლელის საჭიროებების განსაზღვრას, ასევე დგინდება რომ CLIL-ის გაკვეთილები შედარებით მეტ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, ვიდრე სტანდარტული ცალკე ენის ან საგნის გაკვეთილები. მოსწავლეები იყენებენ სკაფოლდინგს საგაკვეთილო პროცესში, რათა დავალებებს სათანადოდ გაართვან თავი.

მასწავლებლების უმრავლესობა ნაწილობრივ ეთანხმება რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკუთარი ფიქრებისა და

აზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას(16), ხოლო უმცირესობა თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.

მასწავლებელთა შეფასებები დებულებებზე: *ინტეგრირებული გაკვეთილები იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას შემეცნებითი მიზნით(26); ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს(27);* ასე გადანაწილდა: გამოკითხულ რესპოდენტთაგან 5 მასწავლებელი ეთანხმება, 6 ნაწილობრივ ეთანხმება, 1 ნაწილობრივ არ ეთანხმება, რომ CLIL გაკვეთილებზე შემსწავლელებს საშუალება აქვთ თავიანთი ფიქრებისა და აზრების თავისუფლად გამოხატვისა.

რაც შეეხება 27 დებულებას, რესპოდენტთაგან 8 მასწავლებელი მიიჩნევს რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილები ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, 4-ნაწილობრივ ეთანხმება, 1 ნაწილობრივ არ ეთანხმება მოცემულ დებულებას., ხოლო 1 თავს იკავებს დებულებაზე აზრის დაფიქსირებისგან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტეგრირებულ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს შემეცნებითი მიზნით და ასევე CLIL გაკვეთილები ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სულ გამოკითხული 14 რესპოდენტთაგან, მასწავლებლების უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ფარგლებში მოსწავლეები ერთვებიან სხვადასხვა საუნിവერსიტეტო თუ კვლევით პროექტებში(30), ხოლო უმცირესობა (1 მასწავლებელი) ნაწილობრივ არ ეთანხმება დებულებას.

CLIL- საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კოლაბორაცია, იმისათვის რომ გამოგვერკვია უშუალოდ როგორ აფასებენ ერთობლივად მუშაობას ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მასწავლებლებისთვის შევადგინეთ შემდეგი დებულებები:

*CLIL მასწავლებლებს სჭირდებათ ურთიერთნამაშრომლობა ერთმანეთთან(8):*

გამოკითხულ რესპოდენტთაგან 5 მასწავლებელი ეთანხმება და ასევე 5 ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ დებულებას, 2 მასწავლებელი ნაწილობრივ არ ეთანხმება, ხოლო 1 მათგანი თავს იკავებს დებულებაზე პასუხის გაცემისაგან.

*სხვა საგნის მასწავლებლების დახმარება დადებითად აისახება CLIL საგაკვეთილო პროცესზე(9):*

მხოლოდ ერთი მასწავლებელი 14 თაგან ფიქრობს რომ მასწავლებლებთან კოლაბორაცია დადებითად აისახება საგაკვეთილო პროცესზე, 5 ნაწილობრივ ეთანხმება, 3 მასწავლებელი არ ეთანხმება, ხოლო 3 მათგანი თავს იკავებს დებულების შეფასებაზე.

მასწავლებელთა უმრავლესობა ფიქრობს რომ მასწავლებლებს ესაჭიროებათ ერთმანეთთან თანამშრომლობა, მაგრამ მათგან უმცირესობა ადასტურებს რომ ეს დადებითად აისახება CLIL- საგაკვეთილო პროცესზე.

*მხოლოდ უცხო ენის ეფექტიანი სწავლებაა ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილის სარგებელი(15):*

8 მასწავლებელი არ ეთანხმება წარმოდგენილ დებულებას რომ CLIL- გაკვეთილების სარგებელი მხოლოდ უცხო ენის ეფექტიანი სწავლებაა, 2 მასწავლებელი ნაწილობრივ არ ეთანხმება, 2 ეთანხმება და 2 მათგანი საერთოდ თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.

საინტერესოა ასევე შემდეგ დებულებაზე მასწავლებლების შეფასება: *CLIL ეხმარება მოსწავლეებს როგორც საგნობრივი ასევე ენობრივი ცოდნის განვითარებაში(18):*

6 მასწავლებელი ეთანხმება და ასევე 6 ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ დებულებას, ხოლო 2 თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.

უნდა აღვნიშნოთ რომ მე-15 და მე-18 დებულებების შეფასებების საფუძველზე ექვეყნებ ვერ დავაყენებთ ჩვენს მიერ შემუშავებულ დებულებებზე პასუხებს.

იმისათვის რომ გამოგვერკვია რამდენად ხელმისაწვდომია რესურსები CLIL მოდულისათვის შევიმუშავეთ შემდეგი დებულება: *არ არის საკმარისი რესურსები CLIL მეთოდოლოგიის სასწავლებლად(17)*

გამოკითხულ რესპოდენტთაგან 3 მასწავლებელი ეთანხმება და 6 ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ დებულებას, 2 არ ეთანხმება და 2 თავს იკავებს დებულების შეფასებაზე.

მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმარისი რესურსები არ მოიპოვება CLIL მეთოდოლოგიის სასწავლებლად.

გამოკითხული მასწავლებლების უმეტესობა ნაწილობრივ ეთანხმება რომ *ნაკლები ტრენინგები, სემინარები ტარდება CLIL მასწავლებლების კომპეტენციის გასაუმჯობესებლად(7)*, 2 -ეთანხმება, 1- ნაწილობრივ არ ეთანხმება, 1 -არ ეთანხმება, 2 კი თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.


შესაბამისად, მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ ტრენინგები მათი კომპეტენციის გასაუმჯობესებლად ნაკლებად ტარდება.

CLIL- გაკვეთილებზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ისეთნაირად გადაფუთვა რომ ხელი შეეწყოს ენის სწავლებას საგნობრივი შინაარსების გაკვეთილებზე, რაც მოითხოვს შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ეთანხმება რომ ისინი *საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ ენის სწავლებას საგნობრივ გაკვეთილებზე(11)*, უმცირესობა (2 მასწავლებელი) კი თავს იკავებს დებულების შეფასებისგან.

მასწავლებელთა უმრავლესობა ეთანხმება შემდეგ დებულებას: *ვიყენებ შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებს საგაკვეთილო პროცესში(12)*, ხოლო უმცირესობა (2 მასწავლებელი) ნაწილობრივ ეთანხმება.

შესაბამისად შეგვიძლია თქვათ რომ მასწავლებლები თავიანთ CLIL-გაკვეთილებზე იყენებენ შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებს.

კითხვარის ბოლოს რესპოდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ მათ მიერ ჩატარებული CLIL-გაკვეთილები 5 ბალიანი სისტემით.



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ 61.5%-მა 4 ბალიანი სისტემით შეაფასა საკუთარი ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილები, 5 ბალიანი სისტემით შეაფასეს CLIL -გაკვეთილები მხოლოდ გამოკითხული მასწავლებლების 23.1%-მა, ხოლო 2 და 3 ბალიანი სისტემით 7.7%-მა.

მიღებული მონაცემებით მასწავლებელთა უმრავლესობა 5 დან 4 ბალიანი სისტემით აფასებს მათ მიერ ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

## ფოკუს ჯგუფის ანალიზი

იმისათვის, რომ სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა არსებული პრაქტიკა და თავიდან აგვეცილებინა სუბიექტური ინტერპრეტაცია, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ფოკუს ჯგუფი. რესპოდენტთა ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 5-მა მასწავლებელმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ერთი რესპოდენტი, დანარჩენ 4-თან შედარებით დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. რესპოდენტთა მოთხოვნა გათვალისწინებულია და შესაბამისად, კონფიდენციალურობა დაცულია.

**1. CLIL-ის (content and language integrated learning) რომელ მოდელს იყენებთ საგაკვეთილო პროცესში, გამომდინარე იქიდან რომ არ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილისთვის დადგენილი ერთი კონკრეტული მოდელი?**

„მე პირადად ჩემს საგანში, ისტორიას ვასწავლი და მივყვები ბრიტანულ მოდელს. ამ შემთხვევაში, ბრიტანული გამომცემლობების მიერ გამოშვებული წიგნებით ვხელმძღვანელობთ და არის საკმაოდ ეფექტური. სხვათაშორის ძალიან კარგად დაგეგმილი, ძალიან კარგად შედგენილი წიგნებია, რავიცი, ყოველშემთხვევაში მე მომწონს, ანუ ბრიტანული პროგრამაა, მეტწილად კემბრიჯის“

„მე ფიზიკას ვასწავლი და ასევე საგაკვეთილო პროცესში ვხელმძღვანელობთ ბრიტანული გამოცემის წიგნებით, რაც საკმაოდ ეფექტურია“.

„ბრიტანული გამომცემლობის წიგნებით ვხელმძღვანელობთ, მაგრამ ფაქტიურად მოდელი წარმოადგენს ბილინგვური განათლებას“.

როგორც ინტერვიუს პასუხებიდან გამოიკვეთა, მასწავლებლები მისდევენ ბილინგვური განათლებისა და ბრიტანულ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს ბრიტანული გამომცემლობის წიგნებით ხელმძღვანელობას, თუმცა მათ შორის აღმოჩნდა რესპოდენტი რომელიც იყენებს ასევე ინტერდისციპლინარულ მოდელსაც:

„გარდა ამისა, ზოგჯერ პროექტებშიც ვართ ჩართულები, ოღონდ აქ კონკრეტულად ერთი საგაკვეთილო მოდული გვაქვს ხოლმე აღებული, ერთ თემას რომ მოიცავდეს“.

**2.თუ შეიძლება აგვიღწეროთ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესი და მასში მონაწილე პირები.**

„იცით, რა არის კონკრეტულად ესე, დაგეგმვაში მონაწილეობას არ ვიღებ სხვა მასწავლებლებთან ერთად, მაგრამ მე მათემატიკის მასწავლებელი ვარ და მჭირდება ხოლმე ასე ვთქვათ ენის ბარიერის გადალახვა და ინგლისური ენის მასწავლებელთან მაქვს ხოლმე კონტაქტი ხშირად, თორემ ყოველ გაკვეთილს ჭირდება კონკრეტული დამხმარე პირი დასაგეგმად“.

„ჩემს შემთხვევაში ინგლიურსა და ესპანურს ვასწავლი ინტეგრირებულად და მეც ჩემით ვგეგმავ გაკვეთილს, ამ შემთხვევაში სხვა დამხმარე მასწავლებელი როგორც ასეთი არ არის ჩართული“

გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში ენის და საგნის მასწავლებელი ერთად არ არის ჩართული, არამედ თვითონ კონკრეტული საგნის მასწავლებელი გეგმავს თავისით, თუმცა რესპოდენტთაგან გამოვყოფთ ერთს(მათემატიკის მასწავლებელი), რომელიც მიმართავს საგნის მასწავლებელს იმ შემთხვევაში თუკი ენობრივი ბარიერი ექმნება:

„კი რა თქმა უნდა, ჩემს შემთხვევაშიც ასეა, ფიზიკას ვასწავლი და სხვა პირს იმ შემთხვევაში მივმართავ თუ კი რაიმე ბარიერი შემექმნება ენის მხრივ, დანარჩენში პირადად მე ვიღებ მონაწილეობას“

**3.რა არის თქვენთვის მისაღწევი სასურველი სწავლის შედეგი როგორც ენაში ისე საგნობრივ შინაარსში?**

„ანუ, ჩემს შემთხვევაში ხდება როგორ, რადგანაც ისტორიას ვასწავლი, ამ შემთხვევაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ენის გარკვეული კომპეტენცია იმისათვის რომ ეს საგანი გაიგონ და მინიმუმ გადმოსცენ, ისაუბრონ და დაწერონ და როცა აქვს ცოდნის გარკვეული დონე



ინგლისურ ენაში და ვიწყებთ ისტორიის სწავლას მაინც გვხდება ხოლმე რაღაცა ისეთი ტერმინები, რომლების ახსნაც არის ხოლმე საჭირო და ბავშვმა უნდა გაითავისოს ეს ყველაფერი. ნუ მაგალითად, როდესაც ვმუშაობთ ხოლმე ნუ პირობითად ავიღოთ შავი ჭირი ევროპაში, სადაც გვხდება გარკვეული ტერმინოლოგია, რომელთანაც ბავშვს შეიძლება შეხება ჰქონდეს რამოდენიმე გაკვეთილის განმავლობაში და ეს უკვე ამახსოვრდება. ანუ, რა თქმა უნდა, ჩემთვის მისაღწევი შედეგი ერთი არის ის რომ ისტორიული-სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ტერმინები აითვისოს ისტორიის სწავლის პროცესში და პლიუს ამას ისწავლოს ის უნარები რომელიც საგნის ასათვისებლად სჭირდება, ეს არის ანალიტიკური აზროვნება, ვთქვათ ეს არის დისკუსიის უნარი, არგუმენტირებულად აზრის გამოხატვა, წერა და ა.შ. რაც შეეხება ენას ამ შემთხვევაში საკომუნიკაციო ენობრივი უნარები“.

„ჩემთან როგორ ხდება აუცილებლად ტერმინოლოგიაზე ვამახვილებთ ყურადღებას და ენაში ძირითადად აზრი რომ ჩამოყალიბებულად გადმოსცენ, სიმართლე რომ ვთქვა გრამატიკაზე დიდად მე არ ვამახვილებ ყურადღებას, შესწორებით კი ვუსწორებ, მაგრამ არ ვრჩერდებით“

რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე ენაში საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე არიან ორიენტირებულები, შინაარსში კი საგანთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ფლობა და ასევე ის უნარები რაც აზრის გამოხატვაში ხელს შეუწყობთ.

**4. თქვენი აზრით ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება როგორ ესადაგება/ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ მიზნებს?**

„რა თქმა უნდა ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების მზიანი და მისი შედეგები გადის იმ მიზნებზე და შედეგებზე რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა გვისახავს“

„სტანდარტი რაც აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმას დიდად არ განსხვავდება იმ სტანდარტისაგან, რომელსაც ვთქვათ გვთავაზობს იგივე ბრიტანული მოდელი. ჩემს შემთხვევაში მისაღწევი შედეგი არის ხოლმე ერთი და იგივე, მაგრამ ამ შედეგებამდე

შეიძლება ითქვას მივდივარ ხოლმე სხვადასხვა სტრატეგიებით, თორე განსხვავების მხრივ არ გვაქვს რაღაცა ესეთი განსხვავებული რადიკალური სხვაობა“.

„არამგონია ყველა ასე ფეხის ნაბიჯზე მიყვებოდეს, მთავარია შედეგი რას მიიღებ და მთავარია იმ მიზანს არ გადაუხვიო რასაც ზოგადი განათლება გვისახავს“.

„მე პირადად, ეროვნულ სასწავლო გეგმას მივყვები მინიმალურად, მხოლოდ სტანდარტებს, მაგრამ შინაარსობრივად რაღაცეები ემთხვევა რაღაცეები არა, ერთი ერთში ვერ მივსდევთ რა თქმა უნდა მაგრამ შედეგზე გავდივართ. კომბინაცია ხდება“.

„მთავარია შედეგი დაიდოს,თორემ რომ გითხრათ ნაბიჯ ნაბიჯ ვერ მიყვები, არის ზოგჯერ რომ უფრო მეტი იციან ვიდრე მოეთხოვებათ., ეს უკვე პროგრესია თუმცა შეფერხებებიც გვაქვს“.

მასწავლებლების უმეტესობამ განაცხადა, რომ ეროვნულის სასწავლო გეგმის სტანდარტს ერთი-ერთში არ მისდევენ, რადგანაც უწევთ სხვადასხვა თავების ჩამატება უცხო ენოვანი მოსწავლეებისათვის, თუმცა რა თქმა უნდა შედეგზე გადიან სხვადასხვა სტრატეგიებისა და გზების გამოყენებით:

„კი ესეა, რადგან არის შემთვევები როცა უცხო ქვეყნიდან გადმოსული ბავშვი უერთდება ჯგუფს წესით თუ მე-11 კლასში იყო, დება მე10 კლასში და მაგალითად თუ უნდა იცოდეს მან სიტყვაზე ქართული გეგმით გათვალისწინებული მე-8 კლასის მასალა არ იცის, რადგან მის ქვეყანაში სხვანაირი გეგმა იყო და გინდა თუ არა გიწესვ რაღაცა თავების ჩამატება და ახსნა იმიტომ რომ ბავშვს უბრალოდ ვერ ექნება ნახტომი“.

**5.ითვალისწინებთ 4- სი ჩარჩოს თქვენს CLIL გაკვეთილზე რომელიც გულისხმობს შინაარსზე, კოგნიციაზე, კულტურასა და კომუნიკაციაზე ორიენტირებას? და როგორ არის ჩაშენებული 4-სი ჩარჩო თქვენს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე.**

„კონკრეტული მეთოდები რომელიც ამ ყველაფერს მოიცავს ხომ? ჩემს შემთხვევაში ვგეგმავთ ისეთ აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ამ ყველაფრის განვითარებას.

თუნდაც როცა ბავშვები აკეთებენ პრეზენტაციას, ანუ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან ჩვენთან ბავშვები და როდესაც სიტყვაზე პრეზენტაციას აკეთებენ საკუთარი ქვეყნის კულტურის შესახებ, კულტურული მიღწევების შესახებ, იგივე ვთქვათ ისტორიული ძეგლების შესახებ და შემდეგ უკვე როდესაც ბავშვები ისმენენ ერთმანეთის პრეზენტაციებს უკვე უჩნდებათ ახლობლობის განცდა“.

„ჩემს შემთხვევაში ვიტყვი, რადგან ესპანურს ვასწავლი, მხოლოდ გრამატიკის ცოდნა და მხოლოდ ის რომ წინადადება გამართო და ისაუბრო ეს არ არის ყველაფერი. მე ვცდილობ რომ იმის იქით ისწავლონ ხელოვნება, მხატვრები, კულტურა, ტრადიციები და ეს პრეზენტაციები ძალიან ხელს უწყობს, ვთქვათ ერთი თუ გააკეთებს ტრადიციებზე, მეორე მხატვარზე მოიტანს ან ქვეყანაზე მადრიდზე, ბარსელონაზე. ანუ იმის თქმა მინდა რომ კონკრეტულად დავალებებში არის გამოვლენილი 4-სი ჩარჩო“.

„რა თქმა უნდა ვიყენებ ამ კომპონენტებს ჩემს გაკვეთილზე, სიმართლე რომ გითხრათ წიგნი გვაძლევს ამის საშუალებას, მოცემული დავალებები რომლებიც მოიცავს 4-სი ჩარჩოს და რა თქმა უნდა პროგრამის გარეშეც მიცემული დავალებები, როგორცაა პრეზენტაციები, როლური თამაშები და ა.შ“.

როგორც მონაცემებიდან გაავანალიზეთ, მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ 4-სი ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, რომელიც მათი თქმით იწვევს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, ენობრივად, საგნობრივად და აზრობრივად, რაც ძირითადად მიცემულ დავალებებში არის ხოლმე გამოხატული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახევრადსტრუქტურირებულ კითხვარში მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილების ჩატარებისას აუცილებელია 4-სი ჩარჩოს გათვალისწინება და უმრავლესობა მასწავლებლებისა ნაწილობრივ დაეთანხმა რომ CLIL გაკვეთილების ჩატარება მოიცავს კონკრეტული მეთოდოლოგიის ცოდნას, რომელიც დაფუძნებულია 4-სი კონცეპტუალურ ჩარჩოზე.

6. როგორ ფიქრობთ ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა ქმნის ბარიერს საგნობრივი შინაარსის ათვისებაში?

„რა თქმა უნდა“

„კი“

(სიცილი ერთხმად).

7. თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე ყოფილა შემთხვევა როდესაც ნაკლები ენობრივი კომპეტენციის გამო საგნობრივი შინაარსის ათვისება შეფერხებულა შემსწავლელში?

„კი“

„კი, ნუ ყველას გვქონია“

„მეტ ნაკლებად ყველას გვქონია მსგავსი შემთხვევა“

„მე მგონი ყველას და ალბათ გადაჭრის გზაც ინდივიდუალურია“.

„ზოგს მაგალითად შეიძლება ის ტერმინი აუხსნა ინგლისურად და გაიგოს ასე ვთქვათ და ზოგმა აი შეიძლება თვითონ სახელიც ვერ გაიგოს ანუ ენის ის ბარიერიც არ ქონდეს რომ თვითონ ის ახსნილიც გაიგოს. ამ შემთხვევებში ეხლა ჩვენ ვიხმარებთ ხოლმე იმ ადამიანებს რომლებიც ამ ენაზე საუბრობენ და ისინი უთარგმნიან და მერე აღმოაჩენენ ხოლმე რომ აა, უი თურმე ასე ყოფილა. ერთი ორჯერ გუუგლ თრანსლეითიც კი დამიხმარებია რომ გამეგებინებინა მისთვის ტერმინი ადვილად და ნუ ეს უფრო ინდივიდუალურია“.

ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილე ადასტურებს რომ ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა რა თქმა უნდა ქმნის ბარიერს შინაარსის ათვისებაშიდა თითქმის ყველა მასწავლებელს ჰქონია მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში. გადაჭრის გზები კი ინდივიდუალურია როგორც ისინი აცხადებენ.

**8. როგორ არის გამოხატული ენის სწავლის მხარდაჭერა საგნობრივ გაკვეთილებზე და პირიქით. (საგნობრივი გაკვეთილების მხარდაჭერა ენის გაკვეთილზე).**

ენის სწავლების ხელშეწყობა და პირიქით, თითოეულ გაკვეთილზე ინდივიდუალურია და განსხვავებულად გამოიხატება სხვადასხვა საგნების მიხედვით, როგორც ეს რესპოდენტების პასუხებიდანაც ირკვევა, ზოგი ტერმინოლოგიაზეა ფოკუსირებული, ზოგი გრამატიკაზე და ა.შ.

„ხელოვნების გაკვეთილზე მაგალითად, გარდა იმისა რომ ბავშვმა მოვლენები და ფაქტები უნდა იცოდეს ასევე პროექტები და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები გვაძლევს იმის საშუალებას რომ გრამატიკული დროები სწორად გამოიყენონ და სწორად აღწერონ მოვლენები“.

„ინგლისურისა და ესპანურის გაკვეთილზე გრამატიკის დროებისა და ფრაზების გარდა, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, როგორც წინაზე აღვნიშნე რომ ქვეყნებზე, მწერლებზე, სხვადასხვა თემებზე გააკეთონ პრეზენტაციები და ეს მოვლენები რა თქმა უნდა სწორად და გასაგებად უნდა გადმოსცენ შინაარსი გამართულად“.

„ჩემთან კიდევ ძალიან ბევრი ტერმინის გავლა უწევთ ბავშვებს ინგლისურ ენაზე, ანუ სოციალურ მეცნიერებებთან რაც არის დაკავშირებული, ანუ კონკრეტული ტერმინები რაც უნდა იცოდნენ იმისათვის რომ აზრი ჩამოაყალიბონ, ისაუბრონ ან რაღაც არგუმენტები დადონ, და ეს კონკრეტული ტერმინები თუ არ იცი ისე ვერ ახერხებ ამ ყველაფერს და ჯერ ვუხსნით ტერმინს თუ რას ნიშნავს და შემდეგ უკვე ამის გამოყენებას თვითონვე ახერხებენ, ანუ ფაქტიურად გვჭირდება“.

„მე როცა ინტეგრირებულად ვატარებ გაკვეთილს, ინგლისურის მინიმალური დონე მაინც უნდა იცოდნენ ბავშვებმა, მაგალითად როცა ირანელ მოსწავლეებთან გვაქს საქმე ყველენაირად ვცდილობ რომ ავხსნა თუნდაც ის ტერმინები გასაგებად, მაგრამ არის რაღაც ბარიერი რასაც ვეღარ ლახავ უკვე ინგლისურად და აქ უკვე ათვისების პრობლემა აქვთ

ბავშვებს და ასევე შინარსობრივი თვალსაზრისითაც, მაგრამ ზედაპირული ცოდნა თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ამ შედეგზე მაინც გავდივართ“.

**9.კონკრეტულად რა მასალებს იყენებთ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პროცესში? გარდა გათვალისწინებული წიგნებისა.**

„მე მაქვს შერჩეული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, თავისი სუბტიტრებით ინგლისურად და რა თქმა უნდა ესპანურად მიმდინარეობს ფილმი. ძალიან ეხმარებათ, ისე რომ ვთქვათ რაღაც სიტყვას თუ ვერ გაიგებენ, ან ვეუბნები რომ რაც ვერ გაიგეს ჩაინიშნონ, ან თვალი მიადევნონ სუბტიტრებს. რავიცი ეხმარებათ ძალიან რომ შინაარსი გაიგონ და შემდეგ ტესტი შემივსონ, რაზე იყო, მთავარი იდეა რა იყო ან მთავარი მოქმედი პირი რას აკეთებს და ა.შ“.

„იგივე არის ჩემთანაც, ანუ ისტორიული დოკუმენტური ფილმები, რა თქმა უნდა მოკლემეტრაჟიანი 2-4 წუთი ჰა მაქსიმუმ 5 წუთი, რა საკვირველია ინგლისური სუბტიტრებით. პლიუს მაგას კიდევ Hand out-ები რასაც ვაძლევთ ხოლმე ბავშვებს სამუშაოდ, რავიცი დანარჩენი კიდევ რესურსები რაც გამოიყენება ხოლმე სკოლაში. მინიმუმ ეხლა ვიდეოს ყურების დროს ყური და თვალი ეჩვევა იმ იგივე თუნდაც სიტყვათა წყობა იქნება თუ ახალი ტერმინები და ადაპტაცია ხდება უფრო ადვილად ბავშვების. ასე რომ რავიცი წიგნის გარდა გვეხმარება კიდევ სხვა მასალებიც“.

„აი ზოგჯერ როცა გამოთქმა ძალიან უჭირთ, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს და რამოდენიმეჯერ გამომიყენებია ფერები საუბრის დროს რიცხვები, სიმღერები. იმდენად კარგად დაუმახსოვრებიათ და უმღერიათ მერე, შიძლება ვერ დაწერო იმ მომენტში სიტყვა და მარტო ცალკე ვერ გამოთქვა მაგრამ სიმღერებში აგყვებიან და ესეც მნიშვნელოვანია სიმღერებით ვსწავლობთ. (იცინის) კიდევ გაფერადებით ვსწავლობთ, თვალით მეხსირებით ვსწავლობთ“.

„მე ვიყენებ ხოლმე სიმულაციებს, ფიზიკას ვასწავლი და ეს ვირტუალური ლაბორატორია და ყველაზე ძან რაც მეხმარება ის არის რომ, ხელსაწყოებს ინგლისურად

აწერიათ თავიანთი სახელები. შეიძლება ბავშვმა არც ინგლისურად არ იცოდეს და არ ესმოდეს მაგრამ რომ დაინახავს და გაიგებს მერე სადღაც ამოტივტივდება და იმახსოვრებს და უჯდება გონებაში. და ყველაზე მეტად იმაში მეხმარება რომ ვიზუალურად რაც შეიძლება მაქსიმალურად...“

„რამოდენიმეჯერ რომ ხვდება და იმეორებს უკვე ესმის..“

„კი კი ხშირად უნდა ესმოდეს, და აი ყველაზე ძან ეგ მეხმარება რომ შეიძლება არ ესმოდეს მაგრამ თვალთ იცის რა არის“.

„თვალთ მეხსიერება სულ სხვაა რა“.

როგორც ვხედავთ ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების მასწავლებლები გარდა გათვალისწინებული წიგნებისა იყენებენ სხვადასხვა აუდიო მასალებს: მოკლე მეტრაჟიან ფილმებს ინგლისური სუბტიტრებით და ასევე სიმულაციებს, რაც უფრო უადვილებს შემსწავლელს საგაკვეთილო პროცესს და უფრო აღსაქმელს ხდის.

## **10.რა სიხშირით იყენებთ CLIL-ის ენას (ინგლისურს) ნაწილობრივ? სრულად?**

„კი, სრულად ვიყენებთ“

„ჩემთან შეიძლება ითქვას რომ გაკვეთილის დიდი ნაწილი ინგლისურად მიმდინარეობს“.

„დიახ რა თქმა უნდა, სრული ჩაძირვა ხდება.“

„კი, მთელი გაკვეთილი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე რა თქმა უნდა“.

მოპოვებული მონაცემებით, შეგვიძლია გავანალიზოთ, რომ CLIL საგაკვეთილო პროცესში ინგლისური ენა სრულად გამოიყენება, გაკვეთილები ხასითდება სრული იმერსიით, ხოლო მათგან გამოვყოფთ ერთ რესპოდენტს, რომელიც ნაწილობრივ იყენებს ინგლისურ ენა ინგლისურ-ესპანური ენის გაკვეთილზე:

„მე კიდევ ძალიან იშვიათად ვცდილობ რომ გამოვიყენო ესპანურის გაკვეთლზე, ნუ ჯერ მაქსიმალურად ვცდილობ ავხსნა ესპანურად, რაღაც სიტყვა თუ ვერ გაიგეს ჯერ ვუხნი

ვუხსნი (იციან), და ბოლოს თუ ვერ გაიგეს კი ვიყენებ ინგლისურს, მაგრამ ინგლისურს ვიყენებ ტერმინებით. ვთქვით, გრამატიკულ დროს რომ ვხსნი ეს ნიშნავს ამას და მერე ვიტყვი ახსნას. ანუ ეს ინგლისური ტერმინები მჭირდება რომ გრამატიკული დროები და წესები ავხსნა. მაგრამ მცირედი რაოდენობით მაქსიმალურად“.

## 11. გამოყავით CLIL გაკვეთილების უპირატესობები და სირთულეები.

„მე ვიტყვი, ანუ ყველაზე დიდი უპირატესობა რაც არის ბავშვი სწავლობს ამ კონკრეტული საგნის ტერმინოლოგიას, რომელიც სხვა შემთხვევაში არ შეხვდება ზოგადი ინგლისური ენის კურსზე. მაგალითად ფიზიკაში, ქიმიაში ბიოლოგიაში ისეთი ტერმინოლოგია არის რომელსაც ბავშვი ინგლისურად არ ხვდება ჩვეულებრივ სასწავლო წიგნში, თუმცა აქ ხვდება ამგვარ სწავლებაში და აი ამის წყალობით ხდება ათვისება იმ უამრავი ტერმინოლოგიის და ყველაზე დიდი პლიუსი ჩემი აზრით არის ეს“.

„ ვიტყვით, რომ ამ მეთოდოლოგიის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა რომ შინაარსის სწავლებით, თითქოს ავტომატურად, ბუნებრივ გარემოში ხდება ენის ათვისება, მაგრამ არსებობს იმის საშიშროებაც რომ თუ ბავშვს გარეკვეული ინგლისური ენის დონე არ აქვს შესაძლებელია რომ რაღაც დონეზე მისი მოტივაციამ დაიწიოს ენის სწავლების მხრივ“.

„სირთულე ალბათ უფრო ენის კომპეტენციის დაძლევა, რაც თავს იჩენს ხოლმე მერე საგნის შინაარსის ათვისებაში, ჩემი პირადი გამოცდილებიდან მქონია ასეთი შემთხვევები, ესეც პირველად ეტაპზე. რაც შეეხება დადებით მხარეს ამგვარი მიდგომის, ვიტყვით ასე, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ყოველმხრივ განვითარებისა, როგორც ენობრივი კომპეტენციის გაღრმავება იქნება ეს საკომუნიკაციო თუ გრამატიკა, ასევე საგნობრივი შინაარსის წვდომა, და კოგნიტური აზროვნება რაღა თქმა უნდა“.

„სირთულეს რაც შეეხება, იმ შემთხვევაში თუ კი ენის კომპეტენცია არის დაბალი და უჭირს ზოგადად ბავშვს საგნის ათვისება და მასწავლების ამ ყველაფრის ბავშვამდე მიტანა. თორე პლიუსი გარდა იმისა რაც ჩემმა კოლეგა X-მ ჩამოთვალა, არის ის რომ დიდი შანსი აქვთ, რომ თუნდაც სკოლის დამთავრების შემდეგ თავისუფლად წავიდნენ ნებისმიერ



უნივესიტეტში და უპრობლემოდ ისწავლონ ნებისმიერ ფაკულტეტზე, მათი მომავალი განვითარებისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ზოგადად უფრო მეტი პლიუსები აქვს ვიდრე მინუსები“. (კოლეგას მიმართავს, იცინიან)

„საერთაშორისო გარემოს ეჩვევიან“.

„ნამდვილად“.

CLIL- მეთოდოლოგიის უპირატესობად მასწავლებლებს მიაჩნიათ, მოსწავლის ყოველმხრივი განვითარება, რაც მოიცავს ენობრივ, შინაარსობრივ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე სპეციფიკური ტერმინოლოგიის დაუფლებას, რომელსაც მოსწავლეები ვერ დაეუფლებიან ზოგადი ინგლისური ენის კურსზე, ასევე მიაჩნიათ, რომ ეს მეთოდოლოგია მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მათ კარიერულ წინსვლაში. რაც შეეხება სირთულეს, მასწავლებლმა საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე დაასახელეს ინგლისური ენის ბარიერი გარკვეულ დონეზე, რაც აუცილებლად მოქმედებს საგნობრივი შინაარსის ათვისებაზე.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის ანალიზი, CLIL- მეთოდოლოგიის უპირატესობის მხრივ, სრულ თანხვედრაშია მოცემულ კითხვასთან მიმართებაში.

**12.რას სტრატეგიებს იყენებთ მოსწავლის გაგების, შემოქმედებითი და კომუნიკაციური უნარების ხელშესაწყობად? საგაკვეთილო პროცესში თუ იყენებთ ბლუმის ტაქსონომიას? გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას? (თუ კი დაასახელეთ მაგალითი)**

„ყველაზე ნათლად რაშიც ვიყენებ არის რომ ფიზიკაში რაღაცა თემა რომ არის ვცდილობ ხოლმე რომ ვასწავლო მეტი რაც შეიძლება და არა მარტო მოკლე პასუხები გასცეს, არამედ აღწეროს მოვლენა და აქ უკვე სჭირდება აზრის ჩამოყალიბება და გამართვა წინადადებების და არა მარტო ფორმულის სწავლა“.

„კი რა თქმა უნდა, ამის გარეშე შეუძლებელია დავალებების შესრულება, აი თუნდაც ბავშვს რომ პრეზენტაციის გაკეთება ევალუა აქაც ვლინდება, რამდენად გასაგებად შეუძლია გადმოსცეს კომუნიკაციის დონეზე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბავშვს ესმის ფორმულა აკეთებს ფურცელზე რომ დაწეროს, მაგრამ გადმოცემა უჭირს ინგლისურ ენაზე, რადგან არ არის მისი მშობლიური ენა და ვცდილობ ხოლმე რომ რაც შეილება მეტი და მეტი ილაპარაკოს, ერი ორი სამჯერ და მერე შეეჩვევა“.

„ჩემს შემთხვევაში მაგალითად უწევთ შექმნან თვითონ. მაგალითისთვის თუ კი ჩვენ გავდივართ რომელიმე რევოლუციას, ნუ რა თქმა უნდა ბავშვი სწავლობს როგორც მოვლენის მიზეზს ასევე ფაქტებს, შედეგებს და ასე შემდეგ. პლიუს ამას უნდა მიხვდეს რომ არის ამ რაღაცის ნაწილი და თვითონ უნდა იყოს ჩართული იმ პროცესში და შეიძლება მოუწიოს რევოლუციური იმ მომენტის სლოგანის შექმნა თუნდაც. თვითონ რას გააკეთებდა და რას გამოხატავდა იმ შემთხვევაში. ანუ თავისი თავის წარმოდგენა ამ შექმნის პრინციპით იმ სიტუაციაში რომელშიც არის და მერე განხილვა და განზოგადება უფრო უადვილდებათ. რავიცი ესეთი სავარჯიშოები რაც ხლა აზრად მომივიდა უცებ აქვთ ხოლმე“.

„ზოგჯერ არის ხოლმე რომ მე მაგალითად, ჩემს კლასში მქონდა შემთხვევა როცა მოსწავლეებს დავავალე შეექმნათ ატომის მოდელი, ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად დავყავი და უნდა წარედგინათ პრეზენტაცია ატომზე და ასევე ვიზუალურადაც უნდა შეექმნათ“.

„ჩემთან კიდევ ხვალეხათ ხოლმე დაახლოებით მგავსი ელექტრო მაგნიტის და რაღაც ასეთი ელექტრო მოდელების შექმნა, თორე დანარჩენი მასალის მიხედვით უფრო რთული თემებია მაღალ კლასებში რასაც ბავშვი თვითონ ვერ შექმნის“.

რესპოდენტები ადასტურებენ, რომ მათ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ხშირად გამოიყენება ისეთი აქტივობები, სავარჯიშოები, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში მრავალხმრივი ინტელექტის განვითარებას, და ასევე აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ ისეთი ტიპის აქტივობები, რომელიც ითვალისწინებს ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონეებს.

### 13. რთულია შესაბამისი ინგლისური ენის გამოყენება CLIL-ის გაკვეთილზე?

„იცით რა ადვილი არ არის ყოველ შემთხვევაში, მაგრამ მე მაინც ვცდილობ რაც არ უნდა რთული იყოს მათთვის ტერმინები განვმარტო, იმიტომ რომ ბავშვმა ის ბარიერი გადალახოს რაც არ იცის და მივიდეს შემდეგ იმ ცოდნამდე რაც უნდა ქონდეს, თუნდაც ხშირი განმეორების ამ ყველაფრის გაკვეთილზე, ვიდრე ვთქვათ დავამუხრუჭო ბავშვის განვითარება და მხოლოდ იმაზე ვესაუბრო რაც იცის ან უადვილდება. ადრე თუ გვიან, ანუ ძალიან ხშირად მქონია პრაქტიკაში, რომ ბავშვები რომლებიც ჩემს ჯგუფში სწავლობდნენ და ინგლისური არ იცოდნენ ელემენტარულ დონეზე ბოლოს ხდებოდნენ ათოსანი მოსწავლეები. თუნდაც იმ გარემოთი რომელშიც იყვნენ და სწავლების იმ მეთოდებით რომლებსაც მასწავლებლები მათ აწვდიდნენ. ანუ ჯობია ბავშვმა იმუშავოს და ეს ბარიერები გადალახოს და ავიდეს რაღაცა მისაღწევ დონეზე ვიდრე გაუმარტივოთ ეს სწავლის პროცესი და ხშირ შემთხვევაში კი არა ყოველთვის ჩემს პრაქტიკაში იყო ხოლმე შედეგიანი“.

„მე ვიტყვოდი რომ თავიდან რთულია შესაბამისი ინგლისური ენის გამოყენება, ესევე მოსწავლის მწირი ენობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე მაგრამ რა თქმა უნდა დავეთანხმები X-ს, რომ ჯობია თავიდანვე მიეჩვივნონ სირთულეების გადალახვას და მიხვიდე მისაღწევ შედეგამდე ვიდრე დანებდე ასე რომ ვთქვათ და რაც მათთვის ადვილია ის ასწავლო მხოლოდ“.

„ბუნებრივია, მათთვის ადვილით სწავლებით ვერ განვითარდებიან და სულ იგივე დონეზე დარჩებიან რაც არამგონია რაიმე შედეგიანის მომტანი იყოს რავიცი“.

რესპოდენტები არ დაობენ იმაზე რომ შესაბამისი ინგლისური ენის დონის გამოყენება რთულია. ისინი განმარტავენ რომ თავიდან ეს ყოველთვის დილემაა წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის ცდილობენ რომ ეს ბარიერი გადალახინონ, რაც მათ განვითარების საშუალებას აძლევს. ენის სირთულეს ცხადყოფს ასევე ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მე-5 კითხვის შედეგები, სადაც მასწავლებელთა

უმეტესობა ადასტურებს, რომ სირთულე რომელიც მდგომარეობს ინგლისური ენის დონეში, ხშირად აწყდებიან.

#### **14.რა პრინციპით არჩევთ დამატებით მასალებს? ადაპტირებულია თქვენი გაკვეთილისთვის?**

„გასაგები რომ იყოს, მარტივად გასაგები რომ იყოს და მრავლისმომცველი ამასთანავე“.

„რომ გაუადვილდეს ბავშვს მასალის სწავლა და რომ გაუჯდეს ცოდნა რომელიც აქვს წიგნიდან. შეიძლება წიგნში არ იყოს იმდენი სავარჯიშოები და იმდენი დავალებები რამდენიც საჭიროა, ამიტომ მიგვაქვს დამატებითი მასალა, რომ უფრო მეტი წარმოდგენა შეექმნას ბავშვს იმ თემაზე რასაც სწავლობს..“

„უფრო განავითაროს..“

„და ამ კუთებით კიდევ რაღაცა ახალი ისწავლოს კი დამატებით“.

როგორც ვხედავთ, მასწავლებლები დამატებით მასალებს ირჩევენ შემდეგი პრინციპით, რომ იყოს ადვილად გასაგები, მოსწავლეზე მორგებული და ხელს უწყობდეს მათ ყოველმხრივ განვითარებას, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის შედეგების გაანალიზებით აღმოჩნდა რომ არ მოიპოვება საკმარისი რესურსები CLIL მეთოდოლოგიის სასწავლებლად და ასევე როდესაც რესპოდენტებს ვკითხეთ თუ როგორ შეაფასებდნენ მათ მიერ ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა რომ შესაბამის რესურსებზე წვდომა მოითხოვს მატერიალურ ხარჯებს და ამის გამო მათ არ აქვთ ამ მასალებზე წვდომა და კარგი იქნებოდა თუ ეს პრობლემა გადაიჭრებოდა უკეთესი შედეგის მისაღწევად.

#### **15.როგორ ფიქრობთ უცხო ენაზე მუშაობისას იკარგება საგნობრივი შინაარსის სიღრმე?**

უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპოდენტებმა ამ კითხვაზე საკმაოდ გულწრფელი პასუხები დააფიქსირეს.მასწავლებლები ორ ჯგუფად გაიყვნენ ვინც მიიჩნევს რომ საგნობრივი შინაარსის სიღრმე იკარგება უცხო ენაზე მუშაობისას, და პირიქით:

„ვიტყობდი, რომ ნაწილობრივ რა აი ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ვისაც ინგლისური ენის ბარიერი აქვს ის რაღაც დონეზე შეიძლება ვერ ჩასწვდეს შინაარსის სიღრმეს“.

„იცი ამ შემთხვევაში, მე ვერ დაგეთანხმები, ვერ ვიტყვი რომ ყველაეს ერთი დონე აქვს ინგლისურის მაგრამ შედეგები მნიშვნელოვნად არ განხვავდება ხოლმე შინაარსის. ანუ მე იმის თქმა მინდა რომ შინაარსის ვერ ათვისება შეიძლება არ იყოს გამოწვეული ენის ბარიერით“.

„რაღაც დოზით იკარგება ალბათ, მაგრამ როგორც ვახსენე წინაზე ზედაპირული ცოდნა მაინც აქვთ ბავშვებს“.

„მე გადაჭრით ვერ ვიტყობდი რომ იკარგება ალბათ ყველაფერი ინდივიდუალურია, რაც არ უნდა აუხსნა და ესმოდეს ენა შეიძლება უბრალოდ შინაარსის აღქმა გაუჭირდეს ბავშვს“.

„ამაზე ერთ მნიშვნელოვან პასუხს ვერ გაგცემთ ან კი ან არა, ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე რომ ვიმსჯელო, ბავშვებს რა თქმა უნდა დიდი პროგრესი აქვთ როგორც ენაში ისე საგნის შინაარსში და ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი“.

## **16.რომელი უნარების გასავითარებლად გჭირდებათ ხოლმე უფრო მეტი მუშაობა?**

(ერთმანეთს უყურებენ და ხმამაღლა იცინიან)

„ეგ შენი თემაა X“. (მიმართავს კოლეგას და იცინის)

„ეს არის ანალიტიკური აზროვნება,(აქსტიკულაცია) რომელსაც მივალწიე არც თუ ისე ბევრ ბავშვში(იცინის). ძალიან რთულია, აი ძალიან“.

„კი გეთანხმები ყველაზე რთულია“.

„ძალიან“.

„მოვლენების ერთიანობაში გაგება და დასკვნების გაკეთება და აღწერა...“

„ერთმანეთთან დაკავშირება..“

„...ყველაზე რთული არის ბავშვისთვის“.

„ხო და რას ვფიქრობ,ეს არის უკვე ისეთი რაღაცა რაც უკვე მასწავლებლის კომპეტენციას და უნარებს აღემატება(იცინის), ცოტა რაღაც უნარი ბავშვშიც უნდა იდოს“.

„ბავშვობიდან თუ არა მერე..“

„კი ანუ საბაზოდან თუ არ აქვს უკვე განვლილი და ჩამოყალიბებული უკვე მერე ძან ძნელია“.

„აი მე რამოდენიმე შემთხვევა მქონია ფიზიკაში, ამოცანების ამოხსნისას, ანუ ეს ამოცანა რამოდენიმე მოქმედებას ითვალისწინებს და ცალკე სამივე მოქმედების გაკეთება შეუძლია ბავშვს მაგრამ ინტეგრირებას ვეღარ ახდენს უკვე და ბუქსავდება, ასე თუ შეიძლება ვთქვა და ვეღარ აკეთებს უკვე, იმიტომ რომ მაშტაბურად უნდა გაიაზროს და არა კონკრეტულად ერთ ხაზიანი კითხვები გადაჭრას. და ყველაზე რთული მე მგონი ესეთი უნარ-ჩვევების განვითარებაა ყველა ბავშვში“.

მოცემულ კითხვაზე რესპოდენტები თანხმდებიან, რომ ყველაზე რთულად მისაღწევი ეს არის ანალიტიკური უნარ- ჩვევების განვითარება მოსწავლეებში.

**17.როგორ ფიქროთ ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილები შემსწავლელებს მხოლოდ ენობრივი უნარების განვითარებაში ეხმარება? საგნობრივი შინაარის ცოდნის შეძენა/გაღრმავებაში? სააზროვნო უნარების განვითარებაში?**

„მე მგონია სამივე ერთად, ნუ მეტ ნაკლებად“.

„არა მე ვფიქრობ რომ სამივეს ერთად მოიცავს, მაგრამ შედეგს უკვე რას ღებულობ ეს უფრო ინდივიდუალურია. ზოგი რას აღწევს ზოგი რას, მაგრამ მიზანი არის სამივე ერთად“.

„რა თქმა უნდა მხოლოდ ენობრივი უნარების განვითარებაში არა, ყველა უნარი თავმოყრილია ამ მეთოდოლოგიაშია და ამიტომაც ვიტყვოდი რომ მისი ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელიც ესაა“.

„მიზანი სწორედაც რომ სამივე უნდა იყოს, მაგრამ აი როგორც ვთქვი ყველაფერს ერთ დონეზე ვერ განუვითარებს, პირადად ჩემთან ენას იყენებენ მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო დონეზე, და ამ შემთხვევაში შინაარსზე უფრო ვარ ფოკუსირებული“.

რესპოდენტების აზრით ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილები მოსწავლეებს სამივე : ენობრივი უნარების განვითარებაში, საგნობრივი შინაარსის შექმნაში და კოგნიტური უნარების განვითარებაში უწყობს ხელს, მეტ ნაკლებად. რესპოდენტთაგან იყო ერთ-ერთი რომელმაც განაცხადა რომ CLIL მეთოდოლოგია უფრო ემტად ენობრივ უნარებს ანვიტარებს შემსწავლელელებში:

„ანუ მე ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ენას უფრო მივემხრობი, ენობრივ კომპეტენციებს უფრო უნვითარებს ბავშვს ანუ ამ სამიდან ყველაზე მეტად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, როდესაც ვთხოვეთ მასწავლებლებს შეეფასებინათ შემდეგი დებულებები:*მხოლოდ უცხო ენის ეფექტიანი სწავლებაა ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილის სარგებელი(15); CLIL ეხმარება მოსწავლეებს როგორც საგნობრივი ასევე ენობრივი ცოდნის განვითარებაში(18).* აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა სწორედაც რომ მიიჩნევს რომ მხოლოდ ენის ეფექტიანი სწავლებაა არ არის ამ მეთოდოლოგიის სარგებელი, რაც ასევე ცალსახად დაფიქსირდა მე-18 დებულებაშიც.

**18. როგორ ფიქრობთ საკმარისია გამოყოფილი 45 წუთი CLIL გაკვეთილების ჩასატარებლად?**

„გვიჭირს“.

„ვერა ვერ ვეტყვი“.

„რაც თემებზე გვყოფნის, რაც თემებზე მეტი არის საჭირო, ანუ ტემატიკას გააჩნია რას ავხსნი. ყოველ შემთხვევაში ემ ძალიან ვცდილობ ხოლმე რომ, რომ ვიცი ხოლმე რომ 45 წუთი მაქვს ისე გავწერო რომ მაქსიმალურად მოვასწრო ყველაფერი. მაგრამ რა თქმა უნდა დრო არასოდეს არ არის მემგონი საკმარისი(იცინის)“.

„ყველაზე დიდი პრობლემა მე ვიტყვი არის ის რომ აი რაღაცის ახსნას ვცდილობ და რომ მგონია რომ უნდა გაიგოს ბავშვმა მერე აღმოჩნდება რომ უმრავლესობამ კლასისამ არ იცის. მერე რომ მეკითხებიან სიევ მიწევს ამის ახსნა და მერე აღმოჩნდება რომ ისიც არ ციან რასაც ვუხსნი და დაბლა დაბლა რომ ჩავდივართ უკვე ეს ბავშვის რესურსი და დრო იკარგება, 45 წუთი ერთ რაღაცაზე ვერ გააკეთებს ბავშვი კონცენტრაციას და ასე იკარგება აი ამაში და ყველაზე დიდი პრობლემა ეს არის რომ ერთი საწკისი არა გვაქვს რომ აი ვერ იტყვი რომ აი ამდონეზე(ქესტიკულაცია) თუ დაგეგმე გაკვეთილი ვერ იტყვი რომ ყველა გაიგებს“.

„ჩემს შემთხვევაში გაკვეთილიდან გამომიყვანია ბავშვი, დამატებით მიმეცადინებია რომ შემიმჩნევია რომ რაღაცა ვერ გაიგო და ჩამორჩა. პასუხისმგებლობა ამიღია, როცა ვხედავ შედეგს რა თქმა უნდა კმაყოფილი ვარ, მაგრამ როცა ვიღაცას რაღაცა ვერ გაუგია და ნაწილმა გაიგო ეს ცოტა მაკოპლექსებს, ვფიქრობ რომ ჩემი პრობლემაა მაგრამ როცა სხვა ამ შეკითხვაზე პასუხის სცემს უკვე ვთანავრდებით(იცინის). ყველას სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა და ამისთვის დრო მნიშვნელოვანია“.

რესპოდენტთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, შეიძლება ვთქვათ რომ გამოყოფილი 45 წუთი არ არის საკმარისი, რადგან საგაკვეთილო პროცესში ბავშვები სხვადასხვა სირთულეებს ხვდებიან, როგორცაა ენასთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები, შესაბამისად ყველაფრის ახსნა და გაგება ვერ ესწრება მოცემულ დროში.

თუ შევადარებთ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის შედეგებს: *Clil-ით სწავლება უფრო მეტ დროს მოითხოვს ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის*



გაკვეთილი(29) დავინახავთ თანხვედრას, სადაც მასწავლებლები ეთანხმებიან რომ აღნიშნული მეთოდოლოგიით სწავლება მოითხოვს გაცილებით მეტ დროს, ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის გაკვეთილი. მოგვეხსენება, რომ სტანდარტული გაკვეთილის ხანგრძლივობაც არის 45 წუთი.

## **19. რომელ საგანმანათლებლო თეორიებს იყენებთ ენისა და საგნის ინტეგრირებულ საგაკვეთილო პროცესში?**

„ინტეგრირებული გაკვეთილები არის მსოწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, პირადად მე ხშირად ვიყენებ ხარაჩოს პრინციპს“.

„კონსტრუქტივიზმის თეორიას ვიტყვოდი“.

„დიახ, ნამდვილად. ანუ აქტივობები ისე არის აგებული რომ ფაქტიურად მსოწავლე აკეთებს ყველაფერს, მოსწავლე სწავლობს კიდევ რარაცეებს თავისით, რა თქმა უნდა ჩვენ ვეხმარებით იმით რომ ვუხსნით, მაგრამ ვუხსნით რამდენიმე წუთი რაღაც ელემენტარულ დონეზე. მერე უკვე თვითონ უნდა გაიგოს თვითონ უნდა ისწავლოს და თვითონ უნდა გააკეთოს რაღაც დასკვნები. მერე რათქმა უნდა ყველა ერთად ვაჯამებთ“.

მასწავლებლები თვლიან, რომ CLIL მეთოდოლოგია არის ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა, სადაც ისინი საგაკვეთილო პროცესში იყენებენ კონსტრუქტივიზმის თეორიას.

ნახევრადსტრუქტურირებულ კითხვარის მონაცემებს თუ შევადარებთ, დავინახავთ თანხვედრას რომ გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ რომ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება აუცილებლად არის მოსწავლეზე ორიენტირებული და მოითხოვს შემსწავლელის საჭიროებების განსაზღვრას.

## **20. CLIL- გაკვეთილის ფარგლებში არიან მოსწავლეები სხვადასხვა კვლევით კლუბებში/პროექტებში ჩართულნი?**

„მოსწავლეები კი არიან ჩართულნი აქტიურად“.

„კონკრეტულად ჩემს საგანში არა მაგრამ ვიცი რომ ბევრი არის ჩართული“.

„კიდევ კლუბებში არიან გაწევრიანებულები, სადაც წამყვანი, სამუშაო ენა არის ინგლისური, აი მაგალითად ბიზნეს კლუბში“.

„კი, კი ეკო კლუბიც..“

„აი კიდევ მაკულატურის რაღაცა ღონისძიება, რატომ უნდა შევავროვოთ მაკულატურა და არ გადავყაროთ და ა.შ. კი ჩართულები არიან ამ კუთხით“.

შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით და ასევე ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებში და სასკოლო კლუბებში, სადაც სამუშაო ენა გახლავთ ინგლისური ენა.

**21. გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკას- LOCIT (Lesson observation and critical incident technique) თუ მიმართავთ CLIL გაკვეთილების შესაჯამებლად, რაც გულისხმობს CLIL მასწავლებლების მიერ საკუთარი პრაქტიკის თეორიის შექმნასა და გაზიარებას ერთმანეთთან.**

„ანუ ესეთის სახით მე არ გამიკეთებია“.

„არა, არასოდეს მიცდია ასე ჩაწერით“.

„თვითშეფასება გვაქვს ხოლმე, მაგრამ აი ასეთი სახით არა“.

„მე მაგალითად ამ ფორმით არ ვაზიარებ, უბრალოდ სიტყვიერად შეიძლება, ვიდეო ჩანაწერით არასდროს“.

„ძირითადად ზეპირი კომუნიკაციით ვაკეთებთ ხოლმე, რომ მაგალითად ეს ცუდი ბავშვია და აი ვეკითხებით რას უხერხებ, როგორი მიდგომები აქვთ“.

როგორც ინტერვიუს პასუხებიდან ირკვევა მასწავლებლები არ მიმართავენ გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკას, ისინი მხოლოდ ზეპირსიტყვიერის სახით უზიარებენ კოლეგებს კომენტარებს.

**22.გიტარდებათ ტრენინგები/ სემინარები/გადამზადება რაც ხელს შეუწყობს და უფრო გააღრმავებს თქვენს CLIL(content and language integrated learning) გამოცდილებას?**

„ტრენინგები როგორც ასეთი, ამ მხრივ არ მგონია თუ არის, არის?“

„ზოგადად ტრენინგები არის და ვისაც სურვილი აქვს შეუძლია გაიაროს, მაგრამ როგორც ასეთი სკოლაში გვიტარდებოდეს არა“.

„არა, კონკრეტულად ამ მეთოდოლოგიის განსავითარებლად არა, ცოტა ისეთი სპეციფიკური განხრა არის და ამ მხრივ რომ ვინმემ დამატრენინგოს არა“.

„არა, სემინარებიც არა“.

მასწავლებლებს არ უტარტდებათ ტრენინგები, სემინარები ან გადამზადება აღნიშნული მეთოდოლოგიის ფარგლებში, რასაც ადასტურებს ასევე მასწავლებლების მიერ შეფასებული დებულება:*ნაკლები ტრენინგები, სემინარები ტარდება CLIL მასწავლებლების კომპეტენციისგასაუმჯობესებლად(7).*

**23.როგორ შეაფასებდით თქვენს CLIL გაკვეთილებს?**

„ჩვენც სწავლების პროცესში ვართ, ჩვენს და სხვის მაგალითებზე“.

„უკეთესი ყოველთვის შეიძლება, მაგალითად, უფრო მეტი მატერიალური მასალის გამოყენების მხრივ რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული. დანარჩენის მხრივ რაღაც კმაყოფილი ვარ“.

„კმაყოფილი ვარ, იმიტომ რომ რომ შევადარო 3 თვის წინანდელი მდგომარეობა კლასის, გინდა ენის მხრივ უკვე საგრძნობი პროგრესი იქმნება, ჩანს რომ ბავშვმა გამოასწორა ყველა მხრივ, ინგლისური ენის მხრივაც, შინაარსობრივაც. მე ძირითადად ტერმინოლოგიაზე ვამახვილებ ყურადღებას, თუ რაღაცა გრამატიკულად არასწორედ თქვა შეიძლება შევუსწორო თორემ მის ახნაზე დროს არ ვკარგავ, დრო გაიქცევა. საბოლოოდ მივდივართ უკეთეს შედეგებამდე შეცდომ-შეცდომებით. არიან ბავშვები რომლებიც საერთოდ ვერ ლაპარაკობდნენ ინგლისურად დ ახლა ლაპარაკობენ“.

საბოლოო ჯამში, მასწავლებლები კმაყოფილები არიან მათ მიერ ჩატარებული CLIL გაკვეთილებით და მიღებული შედეგებით, თუმცა უკეთესის მოლოდინში არიან ყოველთვის.

## დასკვნები

- ✓ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში სწავლა-სწავლება შუალედური ენით(ინგლისური ენა), ინტენსიურად მიმდინარეობს.ტრანსენობრიობა ანუ გადართვა პირველ (მშობლიურ) ენაზე ხდება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, რომელიც დაკავშირებულია სპეციფიკური ტერმინების განმარტებასთან.
- ✓ CLIL-მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილები შემსწავლელელებში აუმჯობესებს ინგლისური ენის ხარისხს.
- ✓ ცალსახად, თუმცა ინტეგრირებული გაკვეთილების პროცესში სასწავლო დისციპლინების სწავლის ხარისხი უმჯობესდება.
- ✓ მასწავლებლები განიცდიან CLIL რესურსების ნაკლებობას, რომელებიც მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.
- ✓ CLIL მასწავლებლებს არ უტარდებათ ტრენინგები/სემინარები/გადამზადებები ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში, რაც უფრო გააღრმავებს მათ გამოცდილებას და მიდგომებს.
- ✓ CLIL საგაკვეთილო პროცესში ენისა და საგნის მასწავლებლები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გარდა კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც საგნის მასწავლებელი ენის ბარიერის გადასალახად მიმართავს ენის მასწავლებელს. კონკრეტული საგნის მასწავლებელი გარკვეულწილად ენაზეც აკეთებსაქცენტს და პირიქით, ენის მასწავლებელი საგნობრივ ასპექტებზეა კონცენტრირებული.
- ✓ საერთო ჯამში ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება დადებითად აისახება საგაკვეთილო პრაქტიკაზე, რადგან სტუდენტების ჩართულობა უფრო მაღალია მსგავსი ტიპის გაკვეთილებზე, გარდა ამისა CLIL მეთოდოლოგიით ჩატარებული გაკვეთილები შემსწავლელელებში ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, შინაარსობრივი ცოდნის შეძენას და კოგნიტური უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

- ✓ მასწავლებლები გათვითცნობიერებულები არიან თუ როგორ დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილი რომელიც მოიცავს ენობრივ და საგნობრივ ასპექტებს, ასევე სასწავლო პროცესში გამოიყენება ისეთ სასწავლო მასალები და იგეგმება აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციისა და საგნობრივი შინაარსის სწავლებას და სწავლის უნარების განვითარებას, რომელიც ეხმარება შემსწავლელს საგნობრივი შინაარსისა და ენის სასწავლო მიზნების სრულყოფაში.
- ✓ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში სწავლა-სწავლება მიმდინარეობს იმ ყველა წესის დაცვით და გათვალისწინებით, რაც ახასიათებს CLIL მეთოდოლოგიას, კერძოდ მასწავლებლები ზედმიწევნით ითვალისწინებენ 4-სი კონცეპტუალურ ჩარჩოს.მათ მიერ გამოყენებული აქტივობები ითვალისწინებს გარდნერის მრავალხმრივი ინტელექტის თეორიას, ბლუმის ტაქსონომიას და სხვა, რომლებიც გამოყენებულია მოსწავლის გაგების, შემოქმედებითი და კომუნიკაციური უნარების ხელშესაწყობად.
- ✓ ცალსახად თუმცა,საგნობრივი შინაარსის სწავლება ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილებზე ისეთივე ეფექტურია, როგორც სტანდარტული საგნის გაკვეთილების კლასებში.
- ✓ ინტეგრირებული გაკვეთილებისათვის გამოყოფილი 45 წუთი არ არის საკმარისი CLIL მეთოდოლოგიის სასწავლებლად.
- ✓ CLIL სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კონსტრუქტივიზმის თეორია, ხარაჩოს პრინციპი, სკაფოლდინგი.
- ✓ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ფარგლებში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა საუნിവერსიტეტო თუ კვლევით პროექტებში/კლუბებში.
- ✓ ინგლისური ენის ბარიერი ქმნის პრობლემას შემსწავლელში აითვისოს საგნის შინაარსი სათანადოდ, რადგან შესაბამისი დონის ინგლისური ენის გამოყენება არ არის მარტივი.
- ✓ კომუნიკაციის მნიშვნელობით ენა სცდება გრამატიკულ სისწორეს, მაგრამ ეს არ უგულებელყოფს გრამატიკისა და ლექსიკი სწავლას.

- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ინტეგრირებული გაკვეთილისთვის დადგენილი ერთი კონკრეტული მოდელი, ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში იყენებენ ბილინგვური განათლების და ინტერდისციპლინარული განათლების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს საგნების ინგლისურ ენაზე სწავლებას და ასევე სხვადასხვა პროექტებში ჩართვას ენა მედიუმის გამოყენებით.
- ✓ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში CLIL მეთოდოლოგიის განხორციელებისას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით აღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ მიზნებს, თუმცა ზედმიწევნით არ მიყვებიან სტანდარტებს.
- ✓ პედაგოგთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ყველაზე რთულად მისაღწევი უნარ-ჩვევა კრიტიკული აზროვნების გამომუშავებაა შემსწავლელში.
- ✓ ცალსახად, თუმცა CLIL გაკვეთილები ეხმარება მოსწავლეს როგორც ენობრივი უნარების განვითარებაში ასევე, საგნობრივი შინაარსის შეძენაში და სააზროვნო უნარების გამომუშავებაში.
- ✓ ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მაგალითზე გამოყავით CLIL გაკვეთილების უპირატესობები და სირთულეები.

#### უპირატესობები:

- შემსწავლელები შინაარსის ათვისებით ავტომატურად ეუფლებიან ენას, ბუნებრივ გარემოში;
- კონკრეტული საგნების ტერმინოლოგიის სწავლა ინგლისურ ენაზე, რის საშუალებასაც ინგლისური ენის ზოგადი კურსი არ იძლევა;
- პიროვნული და სამომავლოდ პროფესიული განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობა;
- აქტიური ინტერაქცია კომუნიკაციის კონტექსტში;
- პროგრესი როგორც ცოდნაში, უნარებსა და შინაარსის გაგებაში;
- ენობრივი ცოდნის განვითარება;

### სირთულეები:

- ენის ბარიერი შემსწავლელში აქვეითებს სწავლის მოტივაციას ენის მხრივ;
- ლინგვისტური კომპეტენციის ნაკლებობა სირთულეს ქმნის საგნის შინაარსის ათვისებაში;
- ზედაპირული ცოდნა საგნობრივ შინაარსში;
- ენა უმეტესწილად წარმოადგენს მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებას და არა მიზანს;
- ✓ ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში პედაგოგების მხრიდან არ ხდება LOCIT: გაკვეთილის დაკვირვებისა და კრიტიკული ინციდენტების ტექნიკის (Lesson observation and critical incident technique) გამოყენება, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განითარებას.
- ✓ CLIL საგაკვეთილო პროცესში ენის სწავლების ხელშეწყობა საგნობრივ გაკვეთილებზე და პირიქით, სხვადასხვაგვარად არის გამოხატული საგნების მიხედვით. ზოგადად, საგნობრივი შინაარსის გაკვეთილებზე აქცენტი კეთდება ლინგვისტურ ასპექტებზე, რაც მოიცავს თემასთან დაკავშირებულ საბაზისო ტერმინებისთვის გასაგება ენას და ასევე გრამატიკულ დროებს, მას შემდეგ რაც მოსწავლეს მისი დონის შესაბამისად მიეწოდება მასალა. ხოლო ენის გაკვეთილებზე მოსწავლეები ეუფლებიან საგანთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიებს.
- ✓ ენისა და საგნის ინტეგრირებულის წავლების პროცესში გამოყენებული დამატებითი მასალები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლის ენის დონის შესაბამისად და ასევე ენობრივი, შინაარსობრივი და კოგნიტური უნარების განვითარების გათვალისწინებით, ძირითადად წარმოადგენს სიმულაციებს და მოკლე მეტრაჟიან აუდიო მასალებს, ინგლისური სუბტიტრებით.



## რეკომენდაციები

- ✓ საქართველოში ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კუთხით, კვლევები ძალიან მწირია, კარგი იქნება თუ კი სახელმწიფო კვლევითი პროექტების იდეების ფორმულირებასა და ამ საკითხზე უფრო ფართო კვლევითი მუშაობის სტიმულირებას შეუწყობს ხელს.
- ✓ მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია ენისა და საგნის მასწავლებელს შორის თანამშრომლობა საგაკვეთილო პროცესში. გაცილებით წარმატებული იქნება CLIL საგაკვეთილო პროცესი თუ კი ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას გაკვეთილების დაგეგმვაში.
- ✓ სკოლამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი გაკვეთილებით ისეთი ბავშვებისთვის, რომლებიც ენის ბარიერის გამო ჩამორჩებიან სასწავლო მასალას.
- ✓ ვფიქრობთ რომ სკოლის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა აქტივობების განცხორილებას შემდეგი კუთხით:
  - ტრენინგები/სემინარები/გადამზადებები CLIL მასწავლებლებისთვის;
  - დამატებით მასალებით უზრუნველყოფა, რაც მატერიალურ ხარჯებთან არის დაკავშირებული;
- ✓ მნიშვნელოვანი იქნება, CLIL მასწავლებლებმა ბალანსი დაიცვან ენასა და საგნობრივ შინაარს შორის, რათა არ მოხდეს ერთის მეორეთი გადაფარვა ან რომელიმეს უგულებელყოფა.
- ✓ მიზანშეწონილი იქნება, CLIL საგაკვეთილო პროცესში ყურადღება გამახვილდეს გრამატიკულ ასპექტებზე და არა მხოლოდ საკომუნიკაციო ენაზე.
- ✓ უმჯობესი იქნება მასწავლებლებმა მაქსიმალურად გაანაწილონ დრო და მეტი საათები დაუთმოთ ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებას მოსწავლეებში, რომელიც ყველაზე რთულად მისაღწევია.

- ✓ რეკომენდაციის სახით აღვნიშნავთ, რომ კარგი იქნება მასწავლებლების მხრიდან LOCIT ტექნიკის გამოყენება, რათა შეიქმნას ერთგვარი პროფესიული ჩარჩო თანამრომლობისათვის, სხვადასხვა თეორიების შემუშავებისა და განვითარებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

- დო კოილი, ფილიპ ჰუდი, დევიდ მარში, CLIL-ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება,2010;(თარგმანი-სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;2015);
- ილვა იევინა, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე-კრებულიდან: „ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009);
- კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები, 2006; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010;
- ლევან ახვლედიანი, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, კახა გაბუნია, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე; თბილისი; 2010;
- ნინო ქემოკლიძე, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, კახა გაბუნია, -ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, თბილისი,2010;
- პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი; რა არის CLIL? ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ბილინგვურ და მულტილინგვურ განათლებაში. (თარგმანი-სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;2015);
- ჯიმ კუმინსი და მერილ სვეინი, ბილინგვიზმი განათლებაში,1986 ;(თარგმანი-სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;2016);
- ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2005-06 წლის კვლევების კრებული. (2007); გამომცემლობა: საქართველოს მაცნე;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი,2014;

- ანდერსონი და კრათვოლი, 2001 - Anderson, L. W. and Krathwohl, D. R. (eds.) (2001) A Taxonomy for Learning, Teaching, and Assessing: A Revision of Bloom's Taxonomy of Educational Objectives, New York: Longman;
- ბარიკი და სვეინი, 1975, Barik, H C and Swain, M 1975 Three-year evaluation of a large scale early grade French immersion program: the Ottawa study;
- ბარიკი და სვეინი, 1977 Barik, H C and Swain, M 1977b French immersion in Canada: the Ottawa study through grade four. ITL, A Review of Applied Linguistics;
- გარსია, 2009 - Garcia, O. (2009) Bilingual Education in the 21st Century: A Global Perspective, Oxford: WileyBlackwell;
- გენესი, 2004 - Genesee, F. (2004) 'What do we know about bilingual education for majority language students?', in Bhatia, T. K. and Ritchie, W. (eds.) (2003) The Handbook of Bilingualism and Multiculturalism, London: Blackwell;
- გრადოლი, 2006 - Graddol, D. (2006) English Next, London: British Council;
- დალტონ-პუფერი, ჰიუტნერი, შინდელეგერი და სმიტი, 2009 - Dalton-Puffer, C., Hüttner, J., Schindelegger, V. and Smit, U. (2009) 'Technology-geeks speak out: What students think about vocational CLIL', International CLIL Research Journal;
- კამპო, გრისალენა და ალონსო, 2007 - Campo, A., Grisaleña, J. and Alonso, E. (2007) Trilingual Students in Secondary School: A New Reality, Bilbao: Basque Institute of Educational Evaluation and Research;
- კრანდალი, 1994 - Crandall, J. (1994) 'Strategic integration: Preparing language and content teachers for linguistically and culturally diverse classrooms', in Alatis, J. E. (ed.) (1994) Georgetown University 3 CLIL as a theoretical concept 45 Roundtable on Languages and Linguistics. Strategic Interaction and Language Acquisition: Theory, Practice, and Research, Washington, DC: Georgetown University Press;
- კოილი, 2005 - Coyle, D. (2005) Developing CLIL: Towards a Theory of Practice, APAC Monograph 6, Barcelona: APAC;
- კუმინსი, 1981, Cummins, J 1981b The role of primary language development in promoting educational success for language minority students. In California State Department of Education, Schooling and language minority students;

- კუმინსი, 2005 - Cummins, J. (2005) 'Using information technology to create a zone of proximal development for academic language learning: A critical perspective on trends and possibilities', in Davison, C. (ed.) (2005) Information Technology and Innovation in Language Education, Hong Kong: Hong Kong University Press;
- ლასაგაბასტერი და სიერა, 2009 - Lasagabaster, D. and Sierra, J. M. (2009) 'Language attitudes in CLIL and traditional EFL classes', International CLIL Research Journal;
- მარში, მალიერსი და ჰარტიალა, 2001 - Marsh, D., Maljers, A. and Hartiala, A-K. (2001) Profiling European CLIL Classrooms;
- მოატე, 2008 - Moate, J. (2008) The Impact of Foreign-Language Mediated Teaching on Teachers' Sense of Professional Integrity in the CLIL Classroom, MA dissertation, University of Nottingham (Unpublished);
- უელსი, 1999 - Wells, G. (1999) Dialogic Inquiry: Towards a Sociocultural Practice and Theory of Education, Cambridge: Cambridge University Press;
- სნოუ, მეტი და გენესი, 1989 - Snow, M., Met, M. and Genesee, F. (1989) 'A conceptual framework for the integration of language and content in second/foreign language instruction';
- სტენჰაუსი, 1975 - Stenhouse, L. (1975) An Introduction to Curriculum Research and Development, London: Heinemann;
- ფრეირე, 1972 - Freire, P. (1972) Pedagogy of the Oppressed, New York: Herder and Herder;
- განათლების დეპარტამენტი, 2002 - Department of Education, Queensland (2002) A Guide to Productive Pedagogies: Classroom Reflection Manual, Education Queensland;
- [http://schooleruditi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=60&Itemid=71](http://schooleruditi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=60&Itemid=71)
- [http://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/101566/mod\\_resource/content/1/leqcia4.pdf](http://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/101566/mod_resource/content/1/leqcia4.pdf)
- <http://mastsavlebeli.ge/?p=2122>
- [http://mastsavlebeli.ge/?p=20331&fbclid=IwAR1enrxzU\\_dWAVt1Iw2KPE77AEh3oNXBWwrtYUOvHG05JbWixud8O5ZTOg](http://mastsavlebeli.ge/?p=20331&fbclid=IwAR1enrxzU_dWAVt1Iw2KPE77AEh3oNXBWwrtYUOvHG05JbWixud8O5ZTOg)
- [http://elearning.tsu.ge/pluginfile.php/101566/mod\\_resource/content/1/leqcia4.pdf?fbclid=IwAR0lhF90KcKuV6GrgWDa1ObjCDFHnoOSPFC5Oqh29\\_B1Cnz\\_dKTiVJ51cQc](http://elearning.tsu.ge/pluginfile.php/101566/mod_resource/content/1/leqcia4.pdf?fbclid=IwAR0lhF90KcKuV6GrgWDa1ObjCDFHnoOSPFC5Oqh29_B1Cnz_dKTiVJ51cQc)
- <http://www.clilcompendium.com>
- <http://www.bu.org.ge/x343?lang=geo>

დებულებები:

1. ვიცი როგორ დავგეგმო ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელიც მოიცავს როგორც ენობრივ ისე საგნობრივ ასპექტებს.
2. ვთვლი რომ საკმარისი ენობრივი კომპეტენცია გამაჩნია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად.
3. ვთვლი რომ საკმარისი საგნობრივი კომპეტენცია გამაჩნია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად.
4. ადვილია ენის სწავლება(ინტეგრირება) საგნობრივ გაკვეთილებზე.
5. CLIL-ით სწავლებისას მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხელს უწყობს კოგნიტური და ენობრივი უნარების განვითარებას შემსწავლელელებში.
6. CLIL გაკვეთილების ჩატარება მოიცავს კონკრეტული მეთოდოლოგიის ცოდნის აუცილებლობას.
7. ნაკლები ტრენინგები, სემინარები ტარდება CLIL მასწავლებელთა კომპეტენციის გასაუმჯობესებლად.
8. CLIL მასწავლებლებს სჭირდებათ ურთიერთნამაშრომლობა ერთმანეთთან.
9. სხვა საგნის მასწავლებლების დახმარება დადებითად აისახება CLIL საგაკვეთილო პროცესში.
10. CLIL მოიცავს უფრო მეთოდოლოგიურ ცოდნას(4-სი ჩარჩო: კოგნიცია, კულტურა, შინაარსი, კომუნიკაცია) ვიდრე სტანდარტული (ინგლისური) ენის მასწავლებელი ან საგნის მასწავლებელი ფლობს.
11. საგაკვეთილო პროცესში ვიყენებ სრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ ენის სწავლებას საგნობრივ გაკვეთილებზე.
12. ვიყენებ შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებს საგაკვეთილო პროცესში.
13. ვიყენებ კოგნიტური უნარების განვითარებისათვის საჭირო მასალებს.
14. ვიყენებ ლინგვისტური უნარების განვითარებუსათვის საჭირო მასალებს.

15. მხოლოდ უცხო ენის ეფექტიანი სწავლებაა ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილის სარგებელი.
16. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკუთარი ფიქრებისა და აზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას.
17. არ არის საკმარისი რესურსები CLIL მეთოდოლოგიის სასწავლებლად.
18. CLIL ეხმარება მოსწავლეებს როგორც საგნობრივი ასევე ენობრივი ცოდნის განვითარებაში.
19. საგნობრივი შინაარსის სწავლება CLIL კლასებში ისეთივე ეფექტურია როგორც სტანდარტული საგნის გაკვეთილების კლასებში.
20. სხვადასხვა სახის სასწავლო მასალებს ვაგროვებ სტუდენტებისთვის საგნობრივი შინაარსის გასაღრმავლებლად.
21. ვიყენებ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებას.
22. მოსწავლეები მიმართავენ სკაფოლდინგს (Scaffolding- დამხმარე საშუალებთა სისტემა.სკაფოლდინგი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში ჯდება.)CLIL- გაკვეთილებზე მოცემული დავალებების შესასრულებლად.
23. CLIL-ით სწავლება მოითხოვს მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრას.
24. CLIL-ით სწავლება მოითხოვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის შერჩევას.
25. CLIL- საგაკვეთილო პროცესში ყურადღებას ვამახვილებ კულტურულ ასპექტებზე.
26. ინტეგრირებული გაკვეთილები იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას შემეცნებითი მიზნით.
27. ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
28. CLIL -ით სწავლება უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის გაკვეთილი.

29. CLIL -ით სწავლება უფრო მეტ დროს მოითხოვს ვიდრე სტანდარტული ენის ან საგნის გაკვეთილი.
30. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ფარგლებში მოსწავლეები ერთვებიან სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ კვლევით პროექტებში.



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program "Educational Sciences"

**Nino Ioramashvili**

**The study of the practice of teaching disciplines with English language integrated learning on the example of the Georgian-American School Progress.**

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in  
Educational Sciences

Master's thesis advisor: Nino Chakhunashvili

Assistant Professor of faculty of Psychology and Educational Sciences at TSU, Doctor of  
Pedagogical Sciences

Tbilisi

2019